ფრაქციები ცესკო-ს თაობაზე ჯერ ვერ თანხმდებიან A2

„45 ლარი ძალიან დიდი ფულია" A2

ფხენიანმა შესაძლოა, ბირთვული იარაღის გამოცდა დაიწყოს A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 12 იანვარი, 2003 წელი. №10 (222)

ფასი 50 თეთრი

უქნარობაში მთავრობა და პარლამენტი ერთმანეთს ტოლს არ უდებენ

საქართველოს მთავრობამ მიმდინარე კვირაში გასული წლის კანონშემოქმედებითი საქმიანობა შეაჯამა და ბევრი ისაუბრა იმაზე, რომ პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების აქტივობას ცივ წყალს ავლებს ხოლმე.
მთავრობის სხდომაზე საგანგებო ყურადღება არ შეუჩერებიათ იმაზე, რომ პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონების და მათში გათვალისწინებული დავალებების არშესრულების თვალსაზრისით, აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტს ტოლს არ უდებს.

თამარ ხორბალაძე

რადგან დღეს საბიუჯეტო თემა განსაკუთრებით აქტულურია, ამჯერად „24 საათი" მხოლოდ იმ შეუსრულებელ დავალებათა ნუსხას წარმოგიდგენთ, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წლის მიწურულს დამტკიცებული 2002 წლის ბიუჯეტის პროექტში იყო გათვალისწინებული:

2002 წლის ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტმა ჩადო მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ 2002 წლის 1 მარტამდე აღმასრულებელ ხელისუფლებას წარედგინა პარლამენტისათვის კანონპროექტი გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარებების შესახებ.

მთავრობამ წარმოადგინა არასრულყოფილი ვარიანტი, შესაბამისად, კანონი არ დამტკიცებულა.

ბიუჯეტის თანახმად, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო კანონპროექტი საშემოსავლო გადასახადების გამარტივების, დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმებისა და მის საფუძველზე დამატებით მობილიზებული შემოსავლების მეშვეობით მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან მაქსიმალური დაახლოების შესახებ. მაშინ პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუდო პირობა, რომ 2002 წლის მეორე ნახევრიდან მინიმალური ხელფასი განსაზღვრულიყო არანაკლებ 50 ლარის ოდენობით.

ფინანსთა სამინისტრომ კანონპროექტი წარმოადგინა, თუმცა იგი არასრულყოფილად ჩაითვალა, შესაბამისად - სესიის განხილვის საგნად არ ქცეულა.

გასული წლის ბიუჯეტის კანონით 2002 წლის 1 მარტამდე აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალა კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება უმოკლეს დროში სახელმწიფო საგადასახადო და არასაგადასახდო შემოსავლების, გრანტებისა და ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროების გაზრდისთვის. არც ეს მოთხოვნა შესრულებულა.

ამავე მუხლის 22-ე პუნქტით საქართველოს პარლამენტისათვის უნდა წარედგინათ წინადადება: უცხოეთის ქვეყნების მთავრობების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საინვესტიციო კრედიტების მართვისა და კოორდინაციის შესახებ - ეს წინადადება პარლამენტში გასული წლის მიწურულს წარდგენილი არ იყო.

ამავე მუხლის 23-ე პუნქტით პარლამენტისათვის უნდა წარედგინათ წინადადებები, წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად განსაზღვრული სახსრების გაწერის შესახებ და წინა წლებში დაგროვილი საბიუჯეტო დავალიანების სახელმწიფო შიდა ვალში აღების თაობაზე; არც ეს შესრულებულა.

გაგრძელება A2 გვერდზე

„დინამო" ორი თვით გვემშვიდობება

A6

ივო შუშაკი

უშიშროების მინისტრი პანკისის ხეობაში

უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ გუშინ პანკისის ხეობაში მორიგი შემოვლა მოაწყო. კახეთის უშიშროების სამსახურის უფროსის პაატა ბატიაშვილის ინფორმაციით, უშიშროების მინისტრი ხეობაში დღეისთვის არსებულ სიტუაციას გაეცნო და გუშინვე თბილისში დაბრუნდა. **"ეს იყო ჩვეულებრივი, როგითი სამუშაო ვიზიტი და ის რაიმე სპეცღონისძიების დაგეგმვას არ ითვალისწინებდა,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას პაატა ბატიაშვილმა. მან ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია პანკისის ხეობაში ძმები ახმადოვების ჯგუფის წევრების ყოფნის თაობაზე.

უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლის ნიკა ლალიაშვილის თქმით, უშიშროების სამინისტრომ რამდენიმე ხნის წინ მიიღო შეტყობინება, რომ ხეობაში შეიძლება ყოფილიყო ახმადოვების ერთი ძმა, რომელიც მთავარ ჯგუფს მოსწყდა და პანკისში ჩარჩა. თუმცა, მიღებული ინფორმაცია არ დადასტურდა.

ნიკა ლალიაშვილის თქმით, ხეობა ბოევიკებმა დატოვეს და ამჟამად მათი დაბრუნების საფრთხე არ არსებობს. დღეისათვის პანკისში დარჩენილი არიან წვრილი კრიმინალები, რომელთა დაკავებაზეც მუშაობა მიმდინარეობს.

კახეთის უშიშროების სამსახურის უფროსის ინფორმაციით, ახმადოვების ორი ძმა პანკისის ხეობიდან, კარგა ხანია, გავიდნენ, **"მათ შესძლეს ყალბი პასპორტებით თურქეთში გადასვლა,"** – განაცხადა პაატა ბატიაშვილმა.

პანკისის ხეობაში არ იმყოფება, აგრეთვე, ცნობილი ადამიანით მოვაჭრე, ახმადოვების პარტნიორი მევლუდ ჭიჭიაშვილი, რომელიც პიტერ შოუს გატაცების ორგანიზატორად სახელდება. არსებული ინფორმაციით, მან პანკისის ხეობა კარგა ხნის წინ დატოვა და ახლა ცხინვალს აფარებს თავს.

"24 საათი"

ხელისუფლებამ ხელები დაიბანა

"იტერასთვის" გაზის საფასურის გადახდამდე ოთხი დღით ადრე ქონების მართვის მინისტრმა სოლომონ პავლიაშვილმა და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ ერთობლივი პრესკონფერენცია მოაწყვეს და განაცხადეს, რომ "თბილგაზი" ქალაქის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში რჩება.

მაია ურუშაძე

"თბილგაზი" იყო, არის და დარჩება თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში," – განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა. მისი განმარტებით, 2002 წლის ოქტომბერში ქალაქის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება "თბილგაზის" ქონების მართვის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ, მაგრამ სამინისტრომ ის თავის დაქვემდებარებაში არ მიიღო.

როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა განმარტა, ცენტრალური ხელისუფლება მომავალშიც განაგრძობს "თბილგაზის" სუბსიდირებას. მისი თქმით, ამას ქვეყნის 2003 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული 4 მილიონ 200 ათასი ლარიც მოწმობს. ეს თანხა "თბილგაზის" სარეაბილიტაციო სამუშაოებს უნდა მოხმარდეს. **"ეს ობიექტი იყო და არის მერიის დაქვემდებარებაში. ცენტრალური ხელისუფლება ქალაქის მუნიციპალიტეტს მის მართვაში იმ ბიზნეს-გეგმებითა**

გაგრძელება A4 გვერდზე

„საქართველო დეფოლტის წინაშე მთავრობის უგუნურების გამო აღმოჩნდა"

გასული წლის ბოლოს საქართველო დეფოლტის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. 19 დეკემბერს, როტერდამის სასამართლოს მოთხოვნით, ჰოლანდიის სამმა ბანკმა (ABN-AMRO, ING და De Nederlandsche Bank – ჰოლანდიის ეროვნული ბანკი) საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშების მომსახურება შეწყვიტა საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის კუთვნილი, დაახლოებით 32 მილიონი დოლარი გაყინა. ამის გამო, ბუნებრივია, შეწყდა საქართველოს საგარეო ვალების მომსახურებაც. ეროვნული ბანკის ანგარიშები ჰოლანდიამ როტერდამის სასამართლოში კომპანია "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" გენერალური დირექტორის გია ფაცურიას მიერ საქართველოს წინააღმდეგ აღძრული სარჩელის გამო დააყადაღა. სარჩელში ეროვნული ბანკი მესამე პირის სახით მონაწილეობს.

მაია ურუშაძე

მთელი ამ გაუგებრობის მიზეზი კი ისაა, რომ ქონების მართვის სამინისტრომ, 2001 წელს მომჩივან გია ფაცურიას კომპანიას "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევას" რუსეთის სადაზღვევო ფონდიდან – "როსგოსსტრახიდან" (საბჭოთა "გოსსტრახ"-ის სამართალმემკვიდრე) საბჭოთა კავშირის დროინდელი ქართული წილების მოთხოვნის უფლებები მიჰყიდა. საქართველოს მოსახლეობის კუთვნილი თანხა, რომელიც "გოსსტრახში" დარჩა, დღეს სამ მილიონ დოლარს შეესაბამება. „როსგოსსტრახი" კი ამჟამად რუსეთის სახელმწიფო კონტროლის ქვეშაა და მას რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს.

ფონდმა "WOBAB"-მა, რომელიც მომჩივანის – კომპანია "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" - ინტერესებს როტერდამის სასამართლოში იცავს, "გოსსტრახს" ფაცურიასთვის საქართველოს კუთვნილი თანხის გადახდა მოსთხოვა. რამდენიმე წელია, რაც რუსეთი ამ თანხის საქართველოსთვის დაბრუნებაზე

გაგრძელება A4 გვერდზე

ჯაბა იოსელიანი შურისძიებით იმუქრება

"მხედრიონის" დამფუძნებელი ჯაბა იოსელიანი ბადრი ზარანდიას მკვლელობას პოლიტიკურს უწოდებს. "სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირის" თავმჯდომარე გუშინ გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს შეხვდა და ერთსაათიანი საუბრის შემდეგ კავშირის თანათავმჯდომარის მკვლელობის თაობაზე მასალები გადასცა.

"ეს არის ძალიან სერიოზული მასალები, შესაძლოა, გენერალური პროკურატურისათვის გადაცემულ მტკიცებულებებს იურიდიული გაფორმება აკლდეს, მაგრამ სამხილების უტყუარობა ეჭვს არ იწვევს. ჩვენთვის ცნობილია, როგორც შემკვეთთა, ასევე მკვლელობის შემსრულებელთა ვინაობა. სამართალდამცველებსაც მოეპოვებათ სერიოზული მასალები და ბადრი ზარანდიას მკვლელობის ორგანიზატორ-შემსრულებლები უნდა დაიჭირონ," – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ჯაბა იოსელიანმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ზარანდიას მკვლელობა "ნაციონალური მოძრაობის" წევრის ჩადენილია. **"ზარანდიას მკვლელობა შეუკვეთა პიროვნებამ, რომელიც ადრე სხვა პარტიაში იყო, ახლა კი "ნაციონალური მოძრაობის" აქტიური წევრია,"** - ამბობს "პატრიოტთა კავშირის" თავმჯდომარე.

ჯაბა იოსელიანი გუშინ შს მინისტრსაც შეხვდა და ზარანდიას მკვლელობის შესახებ მასალები კობა ნარჩემაშვილსაც გადასცა.

"გაბრიჩიძემაც და ნარჩემაშვილმაც ყურადღებით მომისმინეს და პირობა მომცეს, რომ გადაცემულ მასალებს განიხილავენ და შეისწავლიან. სამართალდამცველებმა ზარანდიას საქმე უნდა გახსნან, ამიტომაც შევხვდით მათ. კავშირის წევრები უკვე იყვნენ ავთანდილ იოსელიანთან, მასალები მასაც გადასცეს. ვგეგმავთ ვალერი ხაბურძანიასთან შეხვედრასაც. ბადრი ზარანდიას მკვლელობას მხოლოდ ლაპარაკის დონეზე არ დავტოვებთ, თუ კანონდამცველები არ დააპატიმრებენ მკვლელებს, მათ ჩვენ გავუსწორდებით – დავაპატიმრებთ და ციხეს ცოცხებით ვახვეტინებთ," -

ასეთ პირობას იძლევა გენერალურ პროკურორთან და შს მინისტრთან შეხვედრით კმაყოფილი ჯაბა იოსელიანი.

"24 საათი"

ამინდი

თბილისი	14
ქუთაისი	17
ბათუმი	19
სოხუმი	16
ფოთი	18
თელავი	14
ზუგდიდი	17
გორი	12
ახმეტა	13
ჭიათურა	13
გაგრა	16
სამტრედია	17

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2090
ევრო	2.3232
გირვანქა სტერლინგი	3.5538
რუბლი	0.0693

დავით ბერძენიშვილი: „რუსეთი საქართველოს მეგობარი, დიდი ხანია, აღარ არის"

სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენასთან დაკავშირებით, "ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს ხელისუფლებისგან რუსეთის მიმართ საპასუხო სანქციების გამოყენებას ითხოვს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ნაციონალმა" დავით ბერძენიშვილმა საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის ავიაკომპანიებისთვის საქართველოს საჰაერო სივრცის ჩაკეტვა ურჩია.

სოფო ბუკია

"ჩვენ თავიდანვე უნდა წავუყენოთ რუსეთს ულტიმატუმი, თუ სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მაგისტრალი აღდგება, მაშინ ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს გეოსტრატეგიულ უპირატესობას და რუსეთიდან სომხეთისკენ მიმავალი ტვირთებისთვის, საქართველოს საჰაერო სივრცესთან ერთად, სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებსაც ჩავკეტავთ. რუსეთი საკმაოდ აქტიურად სარგებლობს საქართველოს

გაგრძელება A2 გვერდზე

დავით ბერძენიშვილი

A2 ინფორმაცია A3 რეკლამა A4 ინფორმაცია A5 კულტურა A6 სპორტი A7 განცხადებები A8 სხვადასხვა

ფრაქციები ცესკო-ს თაობაზე ჯერ ვერ თანხმდებიან

უახლოეს დღეებში პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის დასახვეწად შეიკრიბება, კვლავ ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და, მთლიანად, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების შესაძლო ვარიანტებს განიხილავს. თუმცა, უკვე წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმება მიღწეული ვერ იქნება, რადგან თითქმის ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ამ პრობლემისადმი საკუთარი მიდგომა აქვს.

ოპოზიციურ ფრაქციათა უმრავლესობისთვის მიუღებელია „მოქალაქეთა კავშირის“ წინადადებები. ფრაქციათა ნაწილი გამოსავალს დროებითი საარჩევნო ადმინისტრაციების შექმნაში ხედავს. ეს ინიციატივა “ტრადიციონალისტებს” ეკუთვნის.

“ტრადიციონალისტთა” იდეა ამ ტიპის ადმინისტრაციების შექმნის თაობაზე ჯერ არ გამხდარა საპარლამენტო ფრაქციათა მსჯელობის საგანი, მაგრამ, როგორც ფრაქციის მდივანმა ალექსანდრე შალამბერიძემ “24 საათს” განუცხადა, **“კომისიების დაკომპლექტების წესს კიდევ დიდხანს ვერ მივიღებთ. სანამ პარლამენტი ამ პრობლემის გადაჭრას თავს მოაბამს, შუალედური ვარიანტი აუცილებლად არის მოსაძებნი.”**

“ტრადიციონალისტთა” აზრით, დროებითი ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიული პრინციპით, უფრო კონკრეტულად კი, საპარლამენტო ფრაქციების მიერ დასახელებული პიროვნებებით უნდა დაკომპლექტდეს. “ტრადიციონალისტები” არაფერს ამბობენ ქვემდგომი კომისიების მომავალ ბედზე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ წინადადების მიღების შემთხვევაში, საოლქო და საუბნო კომისიებში წევრთა დანიშვნის უფლება სწორედ იმ პარტიების წარმომადგენლებს ექნებათ, ვისაც პარლამენტში საკუთარი დეპუტაცია ჰყავს.

არ არის გამორიცხული, დროებითი ადმინისტრაციების შექმნის იდეა პარლამენტის ფრაქციათა უმრავლესობისთვის მისაღები აღმოჩნდეს. ეს საკმაოდ ადვილი ასახსნელია, რადგან ამ შემთხვევაში ყველა ფრაქციის ამბიცია მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებული იქნება. მეორე მხრივ, ამ წინადადების გასვლის შემთხვევაში, საპარალმენტო არჩევნებს სწორედ დროებითი კომისიები გაუწევენ ორგანიზებას და მთავარი პრობლემა – კომისიების დაკომპლექტების საბოლოო წესის შემუშავება (რომელიც ყოველი არჩევნების წინ გაცხოველებული ვაჭრობის საგანია), კვლავ გადაუჭრელი დარჩება.

“24 საათი”

მოკლედ

თბილისი. რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა აფხაზეთის საკითხში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა სოხუმში სამდღიანი მოლაპარაკებები დაასრულა. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, მოლაპარკებათა დეტალები არ ხმაურდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სერგეი ცარგუშმა “მონაგონი” უწოდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად მოსკოვის თეატრალურ ცენტრში შეჭრილ ტერორისტებს აფხაზეთის მოსახლეობისათვის განკუთვნილი რუსეთის ფედერაციის პასპორტები ჰქონდათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. “ლეიბორისტული (შრომის) პარტია” უახლოეს დღეებში პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს საპროტესტო წერილს გაუგზავნის სოხუმიდან რუსეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“ დეპუტატ დიმიტრი ჯაიანზე განხორციელებულ თავდასხმას შეკვეთილს უწოდებს. **“მოძალადეებს ჯაიანის კუთვნილი ავტომანქანა არ წაუყვანიათ და ძარცვა არ განუხორციელებიათ”,** - აცხადებენ პარლამენტარები. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა დსთ-ს საკითხებში თავის თანაშემწედ მურმან ომანაძე დანიშნა. **“იგი ცნობილი ადამიანია. აქვს მუშაობის გამოცდილება და ჩვენ მისი პოტენციალი აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებისას უნდა გამოვიყენოთ”,** – განაცხადა ნადარეიშვილმა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

გროზნო.. ჩეჩნეთის რესპუბლკის საარჩევნო კომისიამ დაადგინა რეფერენდუმის ჩატარების საბოლოო თარიღი - 2003 წლის 23 მარტი. **კავკას-პრესი**

13 იანვარს სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება

ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციას შორის გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე მიიღეს. სამუშაო ჯგუფმა უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული წინადადებები და გადაწყვიტოს, რა მექანიზმებით მოგვარდება მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

ვერიკო თევზაძე

ლევან ხარბედლიანის ფოტო

ხელისუფლება და არასამთავროები ერთობლივად ფიქრობენ მომავალი არჩევნების ორგანიზებაზე.

სამუშაო ჯგუფში შევლენ სახელმწიფო სტუქტურების, მესამე სექტორისა და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. სავარაუდოდ, თებერვლის შუა რიცხვებისთვის სამუშაო ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს რეკომენდაციები ისეთ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, სიების დაზუსტება და ა.შ.

მესამე სექტორის წარმომადგენლებმა ასევე მოითხოვეს იმ კონკრეტული პიროვნებების (საარჩევნო კომისიის წევრების) პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომელთა არაკანონიერი ქმედებები, რუსთავის არჩევნების მსვლელობისას, აშკარად გამოიკვეთა უზენაესი სასამართლოს სხდომაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები პარტიული პრინციპით საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წინააღმდეგნი არიან. ისინი პროფესიული საარჩევნო კომისიების ფორმირებას მოითხოვენ.

მესამე სექტორი ხელისუფლებისგან ითხოვს აქტიურ მხარდაჭერას, რათა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური დახმარება რეალობად იქცეს.

არასამთავრობო ორგანიზაციის - “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის” - თავმჯდომარის ნანა კაკაბაძის განცხადებით, ავთანდილ ჯორბენაძემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ ხელისუფლება, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერს გააკეთებს, რათა მესამე სექტორის ინიციატივას მწვანე შუქი აენთოს. რამდენად რეალურია ამგვარი დაპირებები, თუნდაც ცესკო-ს გუშინწინ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სხვა საქმეა. ჯორბენაძის მხრიდან სიტყვის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მესამე სექტორს ისღა დარჩება, რომ სახელმწიფო მინისტრს ცესკო-ს მაკომპრომეტებელი მასალები წარუდგინოს.

უქნაროობაში მთავრობა და პარლამენტი ერთმანეთს ტოლს არ უდებენ

პირველი გვერდიდან

ამავე მუხლის 33-ე პუნქტით აღმასრულებელ ხელისუფლებას 2002 წლის 1 აპრილამდე უნდა წარედგინა კანონპროექტი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საქართველოს პრეზიდენტის წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდით გათვალისწინებული სახსრების გაცემის წესის შესახებ; მთავრობას არც ეს პროექტი წარმოუდგენია.

ამავე მუხლის 34-ე პუნქტით აღმასრულებელ ხელისუფლებას 2002 წლის 1 აპრილამდე უნდა მიეღო გადაწყვეტილება 2002 წლის 1 ივლისიდან საცალო ქსელში დაფასოებული პროდუქციის სპეციალური მარკებით ნიშანდების შესახებ; მთავრობას ასეთი წესი არ მიუღია.

აღმასრულებელ ხელისუფლებას 2002 წლის 1 ივლისამდე პარლამენტისათვის უნდა წარედგინა წინადადებები: საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მაგრამ არ წარმოუდგენია. სამაგიეროდ, წლის ბოლოს ადგა და აჭარას საბიუჯეტო ხარჯების ადგილზე დახარჯვა დაუკანონა, რა თქმა უნდა, პარლამენტის ხელშეწყობით.

განათლების სამინისტროს 2002 წლის 1 მაისამდე უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები და პროგრამები - არ შეუმუშავებია, ან, ყოველ შემთხვევაში, არ დაუმტკიცებია.

ეკონომიკის სამინისტროს, განათლების, ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროებთან ერთად, 2002 წლის 1 ივნისამდე უნდა შეემუშავებინა განათლების სფეროში სახელმწიფო დაკვეთის განსაზღვრის წესი; არც ეს შესრულებულა.

2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობას უნდა წარმოედგინა კიდევ 25 საკანონმდებლო ცვლილება, რაც ასევე არ წარმოუდგენია...

ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემის მოწესრიგებას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას, საგადასახადო შემოსავლების გაზრდასა თუ მეწარმეობის ხელშეწყობას უნდა მომსახურებოდა, თუმცა „გაცილებით სერიოზული საკითხებით“ დაკავებულმა მთავრობამ ამისთვის (და ბევრი სხვა საკითხისთვისაც, რომელზეც მომავალში მოგახსენებთ) გასულ წელს ვერ მოიცალა და, შესაბამისად, კანონიც დაარღვია. მაგრამ ასეთი „:მცირედი დეტალები“ საქართველოს პრეზიდენტისთვის, ჩანს, საკმარისი არგუმენტი არ არის, მთავრობის მუშაობას კრიტიკული თვალით რომ შეხედოს. ამიტომ იგი 2002 წლის მიწურულსაც და ახალი წლის დასაწყისშიც საკუთარი აღმასრულებელი ხელისუფლების მოღვაწეობით კმაყოფილებას ხმამაღლა გამოხატავდა.

დავით ბერძენიშვილი: „რუსეთი საქართველოს მეგობარი, დიდი ხანია, აღარ არის“

პირველი გვერდიდან

საჰაერო სივრცით, ამდენად მას ბევრი პრობლემა შეექმნება,” – აცხადებს ბერძენიშვილი.

ამასთან, ბერძენიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს სულაც არ არის ანტისომხური ქმედება, პირიქით, რუსეთისგან თავის დასაღწევად ის სომხეთთან ურთიერთობის გაღრმავებაზე მიუთითებს. **“სომხეთს ვთავაზობთ საკუთარი ინტერესების ჩვენთან ერთად დაცვას. სომხეთი და საქართველო ერთად უნდა აღუდგნენ წინ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ განხორციელებულ მცოცავ აგრესიას,”** – აღნიშნავს ბერძენიშვილი.

რამდენად შედის სომხეთის გეგმებში საქართველოს გათავისუფლება “რუსეთის მცოცავი აგრესიისგან”? იქნებ ამ ნაბიჯით საქართველომ, ერთის ნაცვლად, ორი მტერი-მეზობელი მიიღოს?

დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დათბობა სომხეთის ინტერესებშიც შედის, რადგან **“სომხეთი აუცილებლად დაზარალდება საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის შემთხვევაში”.**

“სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მაგისტრალს მხოლოდ მსგავსი ქმედებები შეგვიძლია დავუპირისპიროთ, სხვა ბერკეტები ჩვენ არ გვაქვს. როგორც საჰაერო, ისე საავტომობილო მაგისტრალების ჩაკეტვა სომხეთში მიმავალი ტვირთებისთვის - ეს არის ის საფრთხე, რაც ემუქრება სომხეთს რუსეთისაგან, ანუ რუსეთი სომხეთს ემუქრება ეკონომიკური და სხვა ტიპის ბლოკადით. ჩვენ უნდა შევთავაზოთ სომხეთს ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა იგი არ აღმოჩნდეს რუსეთის მიერ საქართველოს მისამართით განხორციელებული აგრესიის მსხვერპლი,” – აცხადებს ბერძენიშვილი.

გარდა ამისა, “ნაციონალები” საქართველოს ხელისუფლებისგან 2002 წლის 26 აგვისტოს პარლამენტის დადგენილების ამოქმედებას ითხოვენ. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დადგენილების თანახმად, პრეზიდენტს საქართველოს დსთ-დან გამოსვლის პროცედურის დაწყება და რუსეთის სამხედრო ბაზებისგან საქართველოს ტერიტორიის გათავისუფლება დაევალა.

გუშინ დავით ბერძენიშვილმა პარლამენტში თავმოყრილ **“დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე”** ყველა ძალას ამ პოზიციის გარშემო გაერთიანებისკენ მოუწოდა, რათა შეუძლებელი გახდეს საქართველოს მხრიდან რუსი სამშვიდობოებისთვის **“მანდატის სამარცხვინო გაგრძელება”.**

პრესკონფერენციაზე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესაც გაჰკრეს კბილი: **“ნადარეიშვილი რუს სამშვიდობოთა მისამართით მთელი წლის განმავლობაში საკმაოდ მკაცრია, მხოლოდ წელიწადში ორჯერ, ყოველი ექვსი თვის თავზე, როცა საჭირო ხდება ხოლმე რუს სამშვიდობოთათვის მანდატის გაგრძელება, ის რატომღაც “წაიყრუებს”.**

და კიდევ ერთი, რისი გაკეთებაც ბერძენიშვილს აუცილებლად მიაჩნია: **“საქართველო უნდა გააქტიურდეს დიპლომატიურ ასპარეზზე და მსოფლიო საზოგადოების წინაშე ერთხელ და სამუდამოდ აღიაროს, რომ რუსეთი საქართველოს მეგობარი, დიდი ხანია, აღარ არის.”**

საზოგადოება

„45 ლარი ძალიან დიდი ფულია“

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა შვილებს შეხვდა. აღნიშნული შეხვედრა ორი დღის წინ მთავრობის მოუცლელობის გამო გადაიდო. შეხვედრას ესწრებოდნენ ფინანსთა და ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინიტრების მოადგილეები ვასილ გიგოლაშვილი და მანონი ხაჩიძე.

სოფო კვინტრაძე

ბესო გულაშვილის ფოტო

ექვსწლიანი მცდელობა, შესაძლოა, შედეგით დაგვირგვინდეს.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური რეპრესიების უშუალო მონაწილეები სახელმწიფოსგან გაზრდილ პენსიას იღებენ 45 ლარის ოდენობით. რაც გულისხმობს, რომ მხოლოდ ის ადამიანები იღებენ აღნიშნულ პენსიას, ვინც თავად განიცადა პოლიტიკური დევნა ან რეპრესია და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც რეპრესიის ადგილას იმყოფებოდნენ. 2003 წლის ბიუჯეტის კანონში კი ჩაიდება ერთი სიახლე, რომელიც შეეეხებათ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა იმ შვილებს, ვინც რეპრესიის ადგილას არ იმყოფებოდა, ან მას შემდეგ დაიბადა, რაც მისმა მშობლებმა რეპრესია განიცადეს. როგორც ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე მანონი ხაჩიძე აცხადებს, მათ აღრიცხული ჰყავთ 11 ათასზე მეტი ასეთი ადამიანი. თუმცა, ეს არ არის სრული სია, ამიტომაც აღრიცხვები კვლავ გაგრძელდება. მანონი ხაჩიძე არ გამორიცხავს საშიშროებას, რომ უამრავი ადამიანი შეეცდება დოკუმენტაციის გაყალბებას და ამ მეთოდით რეპრესირებულთა სიაში მოხვედრას, **“იმიტომ რომ 45 ლარი ძალიან დიდი ფულია”,** - აღნიშნა ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილემ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის განცხადებით კი, 2003 წლის 1 სექტემბრიდან ყველა იმ პირს დაენიშნება 45 ლარის ოდენობის პენსია, ვინც რეგისტირებულია, როგორც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის შვილი.

რეპრესირებულთა ოჯახის წევრები, რომლებიც შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, აცხადებენ, რომ ისინი თითქმის ექვსი წელია ცდილობენ ამ საკითხის მოგვარებას და მთავრობასთან დიალოგის გამართვას. გუშინდელი შეხვედრით ისინი ნაწილობრივ უკმაყოფილონი დარჩნენ, რადგან მათი მოთხოვნა - გაზრდილი პენსიის გაცემა 2002 იანვრიდან მომხდარიყო, ფინანსთა სამინისტრომ არ დააკმაყოფილა.

სამაგიეროდ, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ სრული გარანტია მისცა რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს, რომ გაზრდილი პენსიების დარიგება მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყება და შემდგომშიც, შეუფერხებლად გაგრძელდება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მაღლაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

იყავით ხაზზე!

და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონე-ბი, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

საქართველოში ჯეოსელმა პირველმა შესთავაზა აბონენტებს SMS- მოკლე შეტყობინების მომსახურება?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**

ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: ბრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

საახალწლო ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი.
იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

სამართალი

ქუთაისში პოლიციელი დაჭრეს

გუშინწინ, გვიან ღამით, ქუთაისის პოლიციაში შეტყობინება შევიდა - სამი პიროვნება საღორიის დასახლებაში მაღაზიას ქურდავსო. შემთხვევის ადგილზე გასულ პოლიციელებს დამნაშავეებმა ცეცხლი გაუხსნეს, რომლის დროსაც სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი გიორგი ნამიჭეიშვილი დაიჭრა. ქუთაისის პოლიციის უფროსის თემურ ნოზაძის განცხადებით, პოლიციელებმა დამნაშავეებს სროლითვე უპასუხეს და ერთ-ერთი ყაჩაღი ფეხში დაჭრეს. ორმხრივი სროლის შემდეგ, სამართალდამცველებმა სამივე დამნაშავის – ცარციძის, ხურციძისა და ბირბიჩაძის დაპატიმრება მოახერხეს.

მუცელში დაჭრილი ნამიჭეიშვილი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. ექიმთა განცხადებით, პოლიციელის სიცოცხლეს ჯერ კიდევ ემუქრება საფრთხე.

მეგობრის მკვლელი დააპატიმრეს

შარშან, 5 ივლისს, წყალტუბოში, ბენზინგასამართ სადგურში, მამუკა კიკვაძემ ავტომატით მეგობარი გოჩა განგაძე მოკლა. როგორც მკვლელობის თვითმხილველნი იხსენებენ, გოჩა განგაძე მანქანაში ბენზინს ასხამდა, ამ დროს ტაქსით მამუკა კიკვაძე მივიდა. მეგობრებმა ერთმანეთი გადაკოცნეს, მოიკითხეს და თავიანთი ავტომობილებისკენ წავიდნენ. განგაძე მანქანაში რომ ჯდებოდა, ამ დროს მას კიკვაძე მიუახლოვდა, ხელჩანთიდან ავტომატი ამოიღო და მეგობარს ექვსჯერ ესროლა. განგაძე ადგილზე გარდაიცვალა, კიკვაძე კი მიიმალა.

წყალტუბოში შვილმა დედა მოკლა

გუშინ წყალტუბოს რაიონში 26 წლის ბადრი ზვიადაძემ დანით დედა - ვენერა ზვიადაძე მოკლა. წინასწარი მონაცემებით, მკვლელობის მიზეზად სულიერი აღელვება სახელდება. წყალტუბოს პოლიციის უფროსის გელა დარსაძის ინფორმაციით, მკვლელობა დედა-შვილს შორის დაწყებულ კინკლაობას მოჰყვა. პოლიციის უფროსის განცხადებით, ბადრი ზვიადაძე დაკავების მომენტშიც იმდენად აღელვებული იყო, რომ არ არის გამორიცხული, დანაშაულის ჩადენის მომენტში იგი შეურაცხადი ყოფილიყო. თუმცა, გამოძიება ჯერ კიდევ წინ არის და დედის მკვლელის ფსიქიკურ მდგომარეობაზეც საბოლოო სიტყვას ექსპერტიზა იტყვის.

ექიმს ყაჩაღები ვაკციენტებში აერია

ქუთაისში ცნობილი ექიმი სოსო ელუაშვილი დააყაჩაღეს. თავდამსხმელებმა ელუაშვილის პროფესიით ისარგებლეს და, როგორც პაციენტები, ისე შევიდნენ ექიმის ოჯახში. **"დაახლოებით საღამოს 8 საათზე კარზე ზარი დაირეკა. ჭუჭრუტანაში რომ გავიხედე, სამი ადამიანი დავინახე. ერთს ქუდი ეხურა და ჯოხი ეჭირა, ვიფიქრე, ავადმყოფი მოიყვანეს-მეთქი და კარი გავაღე,"** – განუცხადა შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ელუაშვილმა.

სახლში შესვლისთანავე თავდამსხმელებმა ოჯახის წევრებს ფული მოსთხოვეს. ერთ-ერთმა მათგანმა, შესაშინებლად, ჰაერში ისროლა. ტყვია კედელმა აისხლიტა და დიასახლისს ბეჭში მოხვდა. ტატიანა ელუაშვილი მსუბუქად დაიჭრა. ამასობაში დამნაშავეებმა ოჯახიდან ფულისა და ძვირფასი ნივთების წაღება მოახერხეს და მიიმალნენ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე სოსო ელუაშვილს ერთ-ერთმა ნათესავმა ახლობლისაგან გაგზავნილი ფული – 2 ათასი დოლარი მიუტანა. სავარაუდოდ, თანხის გადაცემის ფაქტი დამნაშავეებმაც შეიტყვეს და ადრესატს მიაკითხეს. სარწმუნო წყაროს ცნობით, არ არის გამორიცხული, რომ ექიმის დაყაჩაღებაში იმ ნათესავის ხელი ერიოს, რომელმაც ელუაშვილს ფული მიუტანა. თუმცა, საინტერესოა ერთი გარემოება. ჩვენი ინფორმაციით, სოსო ელუაშვილი და მისი მეუღლე თანხის მიმტანი ახლობლის დასახელებისგან, ჯერჯერობით, რატომღაც, თავს იკავებენ. თურმე, ცოლ-ქმარი უარს აცხადებს დამნაშავეთა ამოცნობაზეც, არადა, თავდამსხმელები უნიღბოდ იყვნენ და მათი ამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს.

დაყაჩაღების ღამესვე ტატიანა ელუაშვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე აღარ ემუქრება. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზაზა ძნელაძის განცხადებით, სამართალდამცველები მთელი ღამე დამნაშავეებს ეძებდნენ, მაგრამ მათ კვალს, ჯერჯერობით, ვერ მიაგნეს. ზაზა ძნელაძის ინფორმაციითვე, უკვე დადგენილია დამნაშავეთა სავარაუდო წრე.

ქუთაისელი პოლიციელები ვარაუდობენ, რომ დანაშაული უახლოეს დღეებში გაიხსნება.

მოკლედ

სოხუმი. რუსმა სამშვიდობოებმა გალის რაიონის სამართალდამცავ ორგანოებს გადასცეს სოფელ ფახულანთან, დამკვირვებელთა 305-ე საგუშაგოსთან დაკავებული შეიარაღებული პირი, გვარად ბერზენია. დაკავებულს თან ჰქონდა ავტომატური იარაღი და საბრძოლო მასალები. არძინბას უშიშროების სამსახურის უფროსის ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნება - ბერზენია გალის რაიონში დისლოცირებულ აფხაზეთის სასაზღვრო ქვედანაყოფის რიგებში არ ირიცხება. **„კავკასა-პრესი“**

■ ■ ■

თბილისი. გალის აფხაზური ადმინისტრაციის პროკურატურა გალის რაიონულ სასამართლოს, გალის იზოლატორში დაკავებული 4 ქართველი მოქალაქის საქმეს გადასცემს. გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რუსლან ქიშმარიას განცხადებით, დაკავებულთა საქმეზე განაჩენს გალის რაიონული სასამართლო, სავარაუდოდ, მომავალ კვირას გამოიტანს. ზუგდიდელი მურთაზ მესხია, შალვა შერვაშიძე და ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყალის მკვიდრი ბესო ბუკია აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონში 23 დეკემბერს ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციის დროს დააკავა. **„ინტერ-პრესი“**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმის უშიშროების სამსახურის თავმჯდომრის პირველმა მოადგილემ სერგეი ცარგუშმა ჭორი უწოდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ტერორისტებს, რომლებმაც მოსკოვში, თეატრალურ ცენტრში მძევლები აიყვანეს, აფხაზეთის მოსახლეობისათვის განკუთვნილი რუსეთის ფედერაციის პასპორტები ჰქონდათ. „საუბარი იმის შესახებ, რომ ტერორისტებს აფხაზეთისათვის განკუთვნილი პასპორტები აღმოაჩნდათ, ქართული მხარის ტრიუკია, რომელიც აფხაზეთის მაცხოვრებელთა მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების წინააღმდეგაა მიმართული", - თქვა მან. **„პრაიმ-ნიუსი“**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს უშიშროების სამინისტრომ რუსეთის შესაბამის სამსახურებს შეატყობინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსკოვში, დუბროვკაზე, თეატრალურ ცენტრში განხორციელებულ ტერაქტში მონაწილე ჩეჩენი ქალებისათვის აღმოჩენილი პასპორტების სერია, აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის დარიგებული რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების სერიებს ემთხვევა. ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია ჯერ საბოლოოდ არაა დაზუსტებული და გასარკვევია მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეტალები. **„პრაიმ-ნიუსი“**

■ ■ ■

თბილისი. ავტოკატასტროფის შედეგად, 1 იანვრიდან დღემდე, საქართველოში 11 ადამიანი დაიღუპა და 38 მძიმედ დაშავდა. თბილისში ამავე პერიოდში მომხდარ 19 ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 24 მძიმედ დაშავდა. წლის დასაწყისიდან 11 იანვრამდე საქართველოს ავტოსატრანსპორტო გზებზე 6 433 კანონდარღვევაა დაფიქსირებული. 1 091 მძღოლს ტექნიკური დათვალიერების ბარათი არ აღმოაჩნდა. **„ინტერ-პრესი“**

■ ■ ■

ქუთაისი. კანონიერი ქურდის მიერ მოსამართლე ზაალ მარუაშვილის ცემის ფაქტზე იმერეთის საოლქო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. პროკურატურაში მოწმედ მიწვეული ინციდენტის მონაწილე კანონიერი ქურდი გია ზვიადაძე სამართალდამცველებმა გუშინ დააპატიმრეს. დაკავებულის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი ზვიადაძის ბრალეულობას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ პროკურატურას ჭეშმარიტების დადგენა არ სურს. **„ინტერ-პრესი“**

უცხოეთი

მსოფლიოს ქვეყნები ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკას გმობენ

ფხენიანმა კი, შესაძლოა, ბირთვული იარაღის გამოცდა დაიწყოს

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ, მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი ქვეყანა გამოეხმაურა. ამის თაობაზე ფხენიანის განცხადებამ, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ კორეის უშუალო მეზობლების, აზიაწყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისა და დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია. პარალელურად, სეულსა და ფხენიანში მასობრივი დემონსტრაციები ეწყობა, სადაც ერთმანეთის საპირისპირო მოთხოვნებით ერთი ეროვნების და ორი სახელმწიფოს მოქალაქეები გამოდიან. ამავდროულად, ფხენიანი ბირთვული იარაღის გამოცდით იმუქრება.

REUTERS

დემონსტრაცია სეულში

იაპონიამ და რუსეთმა ფხენიანს გადაწყვეტილების შეცვლა კატეგორიულად მოსთხოვეს. საფრანგეთმა დაგმო ჩრდილოეთ კორეის ეს ნაბიჯი და ვითარების განმუხტვის მიზნით, გაეროს უშიშროების საბჭოს კარდინალური ზომების მიღებისაკენ მოუწოდა. **"ჩრდილოეთ კორეის ქმედებას ძალზე სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. საფრანგეთი ფხენიანის ამ გადაწყვეტილებას გმობს. ეს პრობლემა გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს,"** - განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილეპენმა. მან ასევე დასძინა, რომ კვირის ბოლოსთვის, სამხრეთ კორეაში დაგეგმილი ვიზიტის დროს, ის ოფიციალურ სეულს აქტიურ მხარდაჭერას გამოუცხადებს.

საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთებას არც ავსტრალია ჩამორჩა. ის იმ ქვეყანათა უმცირეს რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ფხენიანთან დიპლომატიურ ურთიერთობებს დღემდე ინარჩუნებენ. ავსტრალიის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კორეაში ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური დელეგაციის გაგზავნის შესახებ გააკეთა განცხადება.

ფხენიანის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ შეშფოთებას მისი უშუალო მეზობელი - სამხრეთ კორეა გამოხატავს. გუშინ სეულში მრავალათასიანი დემონსტრაცია ჩატარდა, სადაც სამხრეთ კორეის მოქალაქეებმა ჩრდილოელი მეზობლების მიმართ პროტესტი გამოხატეს.

თავის მხრივ, სამხრეთელ მეზობლებს არც თავად ჩრდილოელები ჩამორჩნენ და ფხენიანში საპირისპირო მოთხოვნებით მილიონი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. ისინი დასავლეთს და, განსაკუთრებით, ვაშინგტონს, ჩრდილოეთ კორეასთან ომის გაჩაღების მცდელობაში ადანაშაულებდნენ.

პარალელურად, საკუთარი მოქალაქეების მხარდაჭერით იმედმოცემული ფხენიანი მორიგ სენსაციურ განცხადებას აკეთებს. კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის ელჩმა პეკინში ჩოი ჯინ სუმ განაცხადა, რომ თუკი შეერთებული შტატები არ გააუმჯობესებს ურთიერთობას მის ქვეყანასთან, ფხენიანი ახლო მომავალში ბირთვული იარაღის გამოცდებს ჩაატარებს.

ეკონომიკა

„საქართველო დეფოლტის წინაშე მთავრობის უგუნურების გამო აღმოჩნდა“

პირველი გვერდიდან

უარს იმ მოტივით აცხადებს, რომ **"დსთ-ს თორმეტმა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომ, ხელი მოაწერა "ნულოვან ვარიანტს".** დოკუმენტის მიხედვით, რომელზეც რუსეთი ახდენს აპელირებას, საქართველომ სამთავრობათაშორისო შეთანხმებას ჯერ კიდევ 1992 წელს მოაწერა ხელი და „გოსსტრახში" არსებული 167,5 მილიონი რუბლის ოდენობის საკუთარი რეზერვების მოთხოვნის უფლებაზე უარი თქვა.

თუმცა, ამ დოკუმენტს იურიდიული ძალის მქონედ არ მიიჩნევს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე: **"ეგ დოკუმენტი არ არის რატიფიცირებული, რადგან მას მოსკოვში გაქცეულმა ომანიძემ იმ დროს მოაწერა ხელი, როცა თბილისში უკვე სხვა ხელისუფლება იჯდა. გარდა ამისა, ბალტიის რესპუბლიკებმა საერთოდ არ მოაწერეს ამ დოკუმენტს ხელი, ბელორუსი კი სსრკ-ს ცენტრალური ბანკის ქონების განაწილების პირობით დათანხმდა. რაც მთავარია, ნებისმიერი ხელშეკრულება ძალაში ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული შიდა პროცედურების გავლის შემდეგ შედის. ომანიძის ხელმოწერილ დოკუმენტს კი, ბუნებრივია, ეს პროცედურები არ გაუვლია. ამდენად, ეს დოკუმენტი არ არის იურიდიულად უფლებამოსილი. საქართველო ადრეც სთხოვდა რუსეთს ამ ვალების დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ,"** – აცხადებს გოცირიძე.

ფაცურია აცხადებს, რომ ომანიძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის არსებობა მისთვის ცნობილი მხოლოდ რუსეთის მხრიდან პასუხის მიღების შემდეგ გახდა. **„უკვე 1992 წელს ხელი მოაწერეს ნულოვან ვარიანტს და ეს კი არ მითხრეს,"** – ცხარობს ფაცურია და ზარალის ანაზღაურებას ახლა საქართველოს მთავრობას სთხოვს. სწორედ ეს გახდა საბაბი, რომ მისი ინტერესების დამცველმა ჰოლანდიურმა ფონდმა "WOBAB"-მა ეროვნული ბანკის ანგარიშების დაყადაღება გადაწყვიტა. **"ჰოლანდიაში ანგარიშებზე ყადაღა ჯერაც არ არის ახსნილი. ვერავითარი სამთავრობათაშორისო მოლაპარაკებით ვერ მოხერხდება სასამართლო განჩინების უგულვებელყოფა,"** – აცხადებს ფაცურია.

თუმცა, საქართველოში ფაცურიას მოქმედებებს სხვა მოტივებით ხსნიან. საქმე ისაა, რომ მან "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა" სიმბოლურ ფასად – 1500 დოლარად შეიძინა, ოღონდ ნასყიდობის ხელშეკრულებით კომპანიის საწესდებო კაპიტალის 480 ათას დოლარამდე შევსების ვალდებულებაც იკისრა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გახდა მასა და ქონების მართვის სამინისტროს შორის წარმოშობილი პირველი დავის მიზეზი. როგორც ქონების მართვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირინა ჯობაძე აცხადებს, **„ფაცურიამ ეს პირობა არ შეასრულა და არ განახორციელა ნაკისრი ინვესტიცია. ამის გამო, ქონების მართვის სამინისტრომ ის დააჯარიმა 0,1 პროცენტით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ეს გადაწყვეტილება ფაცურიამ გაასაჩივრა, რის შემდეგაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაგვავალა, თავიდან განგვეხილა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება-არ შესრულების საკითხი, რასაც ჩვენ ახლა ვაწარმოებთ."** ჯობაძის ინფორმაციით, **„გოსსტრახის" ვალების საკითხზე ფაცურიას ქონების მართვის სამინისტროსთვის არ მიუმართავს."**

ქონების მართვის სამინისტროში დღეს არ საუბრობენ იმ მოტივებზე, რის გამოც "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა" გაიყიდა. არ საუბრობენ არც იმ პირობაზე, რომელიც ფაცურიასა და ქონების მართვის სამინისტროს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა იდოს, მაგრამ, რატომღაც, მხოლოდ "იგულისხმება". ეს პირობა, "გოსსტრახის" ვალების ამოღების შემთხვევაში, ფაცურიას "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" ძველი ვალების გასტუმრებას უნდა ავალდებულებდეს. ვალები, რომელიც კომპანიას ქონების მართვის სამინისტრომ გააყოლა, 20 მილიონ ლარს შეადგენს.

„სავარაუდოა, რომ საქართველოს მთავრობას შეეშინდა რუსეთთან ღია დაპირისპირების და გადაწყვიტა, საქართველოს კუთვნილი თანხები "გოსსტრახიდან" სხვისი ხელით მოეთხოვა. აბსოლუტურად გაურკვეველია, სხვა რა ინტერესი უნდა ჰქონოდა მთავრობას, რომ სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია 1500 დოლარად გაეყიდა," – აცხადებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. მისი ინფორმაციით, ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსად წერია, რომ, თუ გაყიდული კომპანია თანხებს დაიბრუნებს, მთავრობაც რამით იხეირებს. **"როგორც ჩანს, მხოლოდ იგულისხმება, რომ კომპანია ამოიღებდა თანხებს რუსეთიდან და თავის ძველ ვალებსაც დაფარავდა. კიდევ კარგი, ვიღაცამ ჩადო საკონკურსო პირობებში, რომ, თუ კომპანია ვერ შეასრულებს თავის გეგმებს, მას არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია საქართველოს მთავრობასთან. როგორც ჩანს, „WOBAB"-ს დაუმალეს ეს დოკუმენტაცია და ანგარიშები იმიტომაც დაგვიყადაღეს. როგორც კი აღმოჩნდება, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით კერძო მყიდველს არა აქვს საქართველოს ხელისუფლებისთვის პრეტენზიის წაყენების უფლება, „WOBAB"-ი მომენტალურად წააგებს საქმეს,"** – მიიჩნევს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი.

ინფორმაცია ქართული ანგარიშების გაყინვისა და კარს მომდგარი დეფოლტის საშიშროების შესახებ დეკემბრის ბოლომდე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. გასაიდუმლოებული იყო ისიც, რომ როტერდამის სასამართლოში ადვოკატის დაქირავება და ჰოლანდიური ბანკების ქართული ანგარიშებიდან ყადაღის დროებით ახსნა ეროვნულ ბანკს უკვე ძალიან ძვირი დაუჯდა. **"ჩვენ იძულებულნი გავხდით, ადვოკატები დაგვექირავებინა, რომ ანგარიშები გაგვთავისუფლებინა,"** – აცხადებენ ახლა ეროვნულ ბანკში. ფაქტი კი ფაქტად რჩება: ქონების მართვის სამინისტროს არაკომპეტენტურობა მთავრობამ, უკვე მერამდენედ, ძალიან ძვირად ზღო. **"საქართველო დეფოლტის წინაშე იმ მთავრობის უგუნურებით აღმოჩნდა, რომელიც რაღაცას აკეთებს და არ იცის რატომ,"** – აცხადებს გოცირიძე. 1500 დოლარი, რომელიც სახელმწიფომ "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" გაყიდვით მიიღო რამდენიმე ათეულჯერ ნაკლებია იმ თანხაზე, რაც ჰოლანდიელ ადვოკატთა მომსახურება დაჯდა. ამასთან, ჯერჯერობით უცნობი რჩება, ამოიწურება თუ არა ფაცურიას მიერ საქართველოსთვის შექმნილი პრობლემები ამ ხარჯებით.

სარჩელის განხილვა როტერდამში თებერვლის ბოლომდე გასტანს. ეროვნულ ბანკში დღეს მიიჩნევენ, რომ საშიშროებამ უკვე ჩაიარა და აცხადებენ: **„31 დეკემბრიდან ყადაღა ახსნილია. ჩვენი ინფორმაციით, ანგარიშებს ხელახლა დაყადაღება ახლა უკვე აღარ ემუქრება."** თუმცა, რა განჩინებას გამოიტანენ ჰოლანდიელი მოსამართლეები საბოლოოდ, წინასწარ ძნელი სათქმელია.

ხელისუფლებამ ხელები დაიბანა

პირველი გვერდიდან

და ანტიკრიზისული გეგმით დაეხმარება, რომლებიც უკვე დამუშავებული გვაქვს," – განაცხადა მირცხულავამ.

ორი მინისტრის მტკიცებით, "თბილგაზის" ორთვიანი "სტუმრობა" სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში მხოლოდ და მხოლოდ მისი მენეჯმენტის გაუმჯობესების მცდელობა იყო. ამ პერიოდში სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ ბუნებრივი აირის შესასყიდად 9 მილიონი ლარი გაიღო. ცნობისათვის: მენეჯმენტის გაუმჯობესებას "თბილგაზს" უკვე დიდი ხანია სთხოვს ამერიკული საკონსულტაციო კომპანია "პი-ეი კონსალტინგი". ამ ორი კვირის წინ კი სემეკმა თბილისის გაზმომარაგების სისტემას ლიცენზია არაეფექტური მენეჯმენტის გამო არ გაუგრძელა.

"თბილგაზის" მენეჯმენტის გაუმჯობესებისთვის რეალური პროგრამა არსებობს. ის რამდენჯერმე მოისმინა ცენტრალურმა ხელისუფლებამ. ეჭვი არ გვეპარება, რომ მერია მუშაობას სწორედ ამ გეგმის მიხედვით დაიწყებს," – აცხადებს მირცხულავა და მიიჩნევს, რომ ქალაქის გაზმომარაგების სისტემის მენეჯმენტის გაუმჯობესებისთვის ლიბერალური საგადასახადო კლიმატის შექმნაა

სოლომონ პავლიაშვილი

დავით მირცხულავა

24 საათის ფოტოკორესპონდენტი

აუცილებელი. **"კანონში ცვლილებები ალბათ მალე შევა. აუცილებელია შეღავათების შემოღება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრისას. გარდა ამისა, საჭიროა შეღავათების დაწესება გაზის იმპორტზეც. იმედი გვაქვს, ეს საკითხები ზაფხულამდე გადაწყდება,"** – ამბობს მირცხულავა.

სანამ ცენტრალური ხელისუფლება "თბილგაზს" მერიასთან "სამზითვო" დარიგებებს ატანს, "იტერასათვის" 9 მილიონი ლარის გადახდის ვადა ახლოვდება. 15 იანვარს რუსულმა კომპანიამ საქართველოდან დეკემბერში მოხმარებული გაზის საფასური უნდა მიიღოს. წინაალმდეგ შემთხვევაში, თბილისს გაზის მონოდება შეუწყდება. დღეისათვის კი "თბილგაზს" მხოლოდ 2 მილიონი ლარის მობილიზება შეუძლია. რაც შეეხება ცენტრალურ ხელისუფლებას, ის "თბილგაზს" ჯერჯერობით მხოლოდ დაპირებებით კვებავს, გაზის შესაძენად კი თანხა არ გადაურიცხავს.

მიუხედავად გაზის გათიშვის კარს-მომდგარი საშიშროებისა, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევს, "იტერასთან" მიღწეულ შეთანხმებას "საქგაზის" ფინანსური ჯაჭვიდან ამოგდებისა და გაზის საფასურის წინასწარი გადახდის სისტემის მოშლის თაობაზე. თუმცა, მისი, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავასა და სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტი მაინც "საეჭვოდ" ემთხვევა გაზის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადას. ეს ვიზიტი დღეს უნდა დაიწყოს და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის განმარტებით, მიზნად "თბილგაზსა" და "იტერას" შორის პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებას ისახავს.

ნინო სურგულაძის ამომავალი ვარსკვლავი

ქართველი მეცო-სოპრანო ლა სკალას სოლისტთა რიცხვში შედის

ჩვენში ხშირად უყვართ საუბარი ქართველების ნიჭიერებაზე. ჩვეულებრივ, ამას სადღეგრძელოს ფორმით აკეთებენ და "დამამტკიცებელ საბუთებს" საერთოდაც არ იხსენებენ. არადა, მსოფლიო საოპერო სცენაზე არაერთმა ქართველმა მომღერალმა დაიმკვიდრა ადგილი. ამომავალ ვარსკვლავთა რიცხვს, უკვე შეიძლება ახალგაზრდა მეცო-სოპრანო, ნინო სურგულაძე მივაკუთვნოთ, რომელიც ამჟამად მილანის "ლა სკალას" აკადემიაში სწავლობს და რამოდენიმე სპექტაკლში (მათ შორის საპრემიერო წარმოდგენების მთავარ პარტიებში) გამოჩნდა "ოპერის მექად" აღიარებულ სცენაზე.

ნინო სურგულაძე ლა სკალას აფიშით

მადი სერებრიაკოვა

ნინო სურგულაძეს პირველად ბავშვობაში, საყმაწვილო სატელევიზიო სტუდიაში შევხვდი. მაშინ ნინოც ჟურნალისტიკას ეუფლებოდა. თუმცა მანამდე უკვე მსახიობადაც ჰქონდა თავი ნაცადი. თავდაპირველად იგი ნელი ნენოვასა და გენო წულაიას "მეტიჩარაში" გამოჩნდა. ლანა ღოღობერიძის "ვალსი პეჩორაზე" შესრულებულმა მთავარმა როლმა კი სურგულაძეს ჟან ლასალის სპეციალური პრიზი და "ევროპული კინოს იმედის" წოდებაც მოუტანა ჟენევის მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალზე. მოგვიანებით, იგი პოპულარული მუსიკითაც გახდა ცნობილი. არაერთი საკონცერტო გამოსვლისა და ამ სფეროში მიღებულ პრიზებთან ერთად, ქართულ ტელე-არხებზე დღემდე ტრიალებს მისი რამოდენიმე წლისწინანდელი ვიდეო-კლიპი ჯგუფ "ვაკის პარკთან" ერთად. მიუხედავად ყველაფრისა, საბოლოო არჩევანი სურგულაძემ არც კინოს და არც ესტრადის – არამედ საოპერო მუსიკის სასარგებლოდ გააკეთა. საოპერო სცენას ასეთი ექსპერიმენტები ბევრი არ ახსოვს. იშვიათ გამონაკლისებს შორის შეიძლება რობერტო ალანია (თავდაპირველად მან ფრანგული შანსონებით გაითქვა სახელი) ან ჯუზეპე დი სტეფანო (უდიდესმა მომღერალმა კარიერა კლუბებში ნეაპოლიტანური სიმღერებით დაიწყო) დავასახელოთ. რისკიანი ნაბიჯი, ალბათ, ნინო სურგულაძის შემთხვევაშიც გაამართლებს. ამჟამად მას უკვე ბარსელონაში ვინიასის კონკურსის მე-2 პრემია, ლა სკალას სცენაზე და ბარსელონას თეატრში ნამღერი რამოდენიმე სპექტაკლისა და კონცერტების სტაჟი დაუგროვდა.

ლა სკალას სოლისტთა მუდმივი შტატი არ გააჩნია და ყოველი სპექტაკლისთვის მომღერლებს შესაბამისი კონტრაქტით იწვევენ. დამწყებთათვის ეს გზა ბევრად რთულია.

ნინო სურგულაძე - "ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ ნებისმიერ უმნიშვნელო პარტიასაც შენს გარდა 20 მომღერალი მაინც ამზადებს. ათი თავით უნდა სჯობდე ყველას, რომ ვარსკვლავებთან, საპროდიუსერო სააგენტოების კანდიდატურებთან კონკურენციას გაუძლო".

ჩვეულებრივ, სკალაში კონტრაქტს არაერთი მოსმენა უძღვის წინ. სურგულაძის საოპერო კარიერა თბილისის კონსერვატორიაში, საოპერო სტუდიის მიერ დადგმულ შთამბეჭდავ სპექტაკლში, ნიკა მემანიშვილის, დათო საყვარელიძის და მაკა ასათიანის განხორციელებულ Dramma per musica-ში შედგა (პერისა და რინუჩინის "ევრიდიკეს" მიხედვით). აქ მან არჩეტროს ძალზედ სახასიათო პარტია შეასრულა. გზა სკალას სცენისკენ კი მას ბარსელონაში, ვინიასის კონკურსზე მიღებული მეორე პრემიის წყალობით გაეხსნა. გარდა პრესტიჟული ჯილდოსი, ნინო სურგულაძეს თავად ჯოან საზერლენდის აპლოდისმენტები და სამი სპეციალური პრიზი ერგო, რომელთა შორის ლა სკალას აკადემიაში ორწლიანი სტაჟირებაც იყო. ეს აკადემია გამოჩენილმა დირიჟორმა რიკარდო მუტიმ დააარსა (თუმცა იდეა ჯერ კიდევ ტოსკანინის ეკუთვნოდა). 6 თვიანი სტაჟირება იქ პაატა ბურჭულაძემაც გაიარა. ამჟამად, კი სურგულაძის გარდა, იქ ახალგაზრდა იმედისმომცემი ტენორი გია ონიანიც სწავლობს. აკადემიის სტუდენტებს უშუალო ხელმძღვანელობას ისეთი გამოჩენილი მუსიკოსები უწევენ, როგორიც თავად მუტი, ლეილა გენჯერი, ლუჩიანა სერა და ლუიჟი ალვა არიან. პრაქტიკულ გამოცდილებას კი სტუდენტები იტალიის წამყვან თეატრებში იღებენ. ამჟამად იქ ათი საუკეთესო სტუდენტი გადის სტაჟირებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

პირველი კონტრაქტი სკალასთან ახალგაზრდა ქართველმა მეცო-სოპრანომ 2001 წლის აპრილში, ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის დაწყებამდე მიიღო. საქართველოში იტალიის საელჩოს მიერ მოწყობილ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, იგი მოსმენაზე გაუშვეს. შედეგად, მუტიმ იგი ბუსეტოში, ვერდის საიუბილეო ღონისძიებისას "ფალსტაფში" მეგის პარტიზე მიიწვია. ნინომ ათ დღეში მოამზადა პარტია. დუბლიორობას იგი იტალიაში ცნობილ მომღერალს ანა-კატერინა ანტონაჩის უწევდა. უშუალოდ სკალას სცენაზე სურგულაძე თავდაპირველად მცირე პარტიებით გამოჩნდა: შტრაუსის "სალომეში" (ზანგი მონა), მუსორგსკის "ბორის გოდუნოვში" (თეოდორი). პარტიის სიმცირეს მომღერლის პასუხისმგებლობაზე არ უმოქმედია. **"მე იმ აზრს ვიზიარებ, რომ არ არსებობს დიდი და პატარა როლები. არიან მხოლოდ დიდი და პატარა მსახიობები"**. ამ პრინციპის წყალობით, სკალაში - სცენის მუშების, მეგარდერობეებისა და გრიმიორებიდან დაწყებული და სამხატვრო ხელმძღვანელობით დამთავრებული – სურგულაძე განსაკუთრებული მონდომების წყალობით გაიცნეს. **"რეპეტიციებზე და სპექტაკლებზე ორი საათით ადრე მივდივარ, ყველაზე ადრე ვიცვამ კოსტიუმს, ვიკეთებ გრიმს...."**

გასული წლის გაზაფხულზე, სურგულაძე ბარსელონას თეატრშიც გამოჩნდა. შოსტაკოვიჩის ოპერაში "ლედი მაკბეტი მცენიდან" სონეტკას პარტიას მაყურებელთა სიმპათია და კარგი პრესა ხვდა წილად. ამ სპექტაკლის გამო სურგულაძეს ესპანეთის ქალაქ საბადელის თეატრისთვის მოუხდა უარის თქმა, სადაც მისთვის უსაყვარლეს კარმენის პარტიას სთავაზობდნენ. თუმცა პრესტიჟულობის ხარისხიდან გამომდინარე, ლა სკალას აკადემიაში ნინოს ბარსელონას თეატრში მეორეხარისხოვანი პარტია უფრო ურჩიეს, ვიდრე "კარმენი" სხვაგან.

სკალას სცენაზე ყველაზე მნიშვნელოვანი პარტია ნინო სურგულაძემ სექტემბერში ვერდის "ობერტოში" იმღერა. სპექტაკლს ცნობილი დირიჟორი ნიკოლა ლუიზოტი და რეჟისორი პიე-ლუიჯი პიერალი ხელმძღვანელობდნენ. ვერდის პირველი ოპერისათვის თეატრში სამი შემადგენლობა მომზადდა. პირველი პრემიერა სკალას უკვე გამოცდილ მეცო-სოპრანოს, ლარისა შმიდტს უნდა ემღერა. თუმცა, საბოლოოდ ხელმძღვანელობამ პრემიერა სურგულაძეს მიანდო. "ნინო სურგულაძემ ულამაზესად გამოხატა კუნიცას სინაზე", აღინიშნა იტალიურ პრესაში. "ობერტო, გრაფი სან ბონიფაჩოს" ლა სკალასეული დადგმა კომპაქტ-დისკის სახითაც გამოვა.

მარტში სკალაში სურგულაძე კიდევ ერთ მნიშვნელოვან სპექტაკლში - როსინის "იტალიელი ქალი ალჟირში" (ზულფას პარტიით) გამოჩნდება. გაზაფხულზე კი შვეიცარიაში ჰენდელის "არიოდანტეში" პოლინეზის პარტიას იმღერებს. 2004-2005-ში უკვე დაგეგმილია ბარსელონაში ვერდის "რიგოლეტოში" მადალენას პარტიაც.

ახალგაზრდა ქართველი მომღერალი თბილისში იშვიათად ჩნდება. თუმცა დღემდე გაკვეთილებს იტალიიდან ტელეფონით იღებს ქართველი მასწავლებლის, გულიკო კარიაულისგან. სატელეფონო გაკვეთილებს კი უნიკალურ არტისტიზმს, ვოკალურ მონაცემებსა, სერიოზულ გამოცდილებასაც თუ დავუმატებთ – ახალგაზრდა მეცო-სოპრანოს წარმატებისათვის ერთი საიდუმლოღა რჩება: **"მთავარია შეძლო ყველასთან კარგი ურთიერთობა იქონიო. ხელოვნება არ არის სპორტი, რომ ვინმეს გაეჯიბრო, ურთიერთობების სილამაზის შენარჩუნებაა მთავარი. კოსტიუმერებიდან და გრიმიორებიდან დაწყებული – სოლისტი ვარსკვლავებით დამთავრებული ვცდილობ ყველასთან გულწრფელი პატივისცემა და სითბო მქონდეს. ვცდილობ მოვერიდო უსიამოვნო კონკურენციას - მაგრამ დაკისრებულ მოვალეობას ბოლომდე, სრული დატვირთვით ვასრულებ"**.

კინოთეატრი "რუსთაველი", "ელისო"

კარლსონი

ნორვეგია, 2002 წელი

რეჟისორი: **ვიბეკე იდსე**

კომპოზიტორი: **შეტილ ბიორკესტრანდი**

ეს სკანდინავიური ანიმაციური ფილმი ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება შვედი მწერლის, ასტრიდ ლინდგრენის, ამავე სახელწოდების ნაწარმოებს. სურათში ლიტერატურულ პირველწყაროსგან იოტისოდენა გადახვევაც კი არ არის. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მულტფილმის მეშვეობით ბავშვები ასტრიდ ლინდგრენის შემოქმედებას საკმაოდ ახლოს გაეცნობიან.

უკვე წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ "კარლსონი" ქართველ მაყურებელში, განსაკუთრებით კი ბავშვებში, დიდი წარმატებით ისარგებლებს, მაგრამ ამაში ფილმის ავტორების და შემქმნელების დამსახურება მინიმალური იქნება. უბრალოდ, სურათის მთავარ პერსონაჟს – კარლსონს, სამწუხაროდ სახელგანთქმული ზვიო ახმოვანებს. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში პირობითად რომ ვთქვათ, "ზვიოზმია" გავრცელებული. მაგალითად ფილმი "ფორმულა 51", რომლის გახმოვანებაშიც ეს მსახიობი იღებდა მონაწილეობას, თბილისში იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობს, რომ კინოთეატრ "რუსთაველის" დირექცია ამ ფილმის ვიდეოკასეტებზე ჩაწერას და გაყიდვას აპირებს. "კარლსონზეც" იმავეს თქმა შეიძლება. მაყურებელს მფრინავი ადამიანის გამოჩენაზე უფრო ზვიოს ხმის გაგონება გაუხარდა. ვერ ვიტყვით, რომ ზვიოს ხმა ფილმს ამახინჯებდეს. პირიქით, მისი პროვინციული კილო საზღვარგარეთულ კინონაწარმს მაქსიმალურად აახლოებს ქართულ სინამდვილესთან. ისეთი გრძნობა ჩნდება, რომ ამა თუ იმ ფილმში დატრიალებული მოვლენები სადღაც ცხრა მთას იქით კი არა, არამედ აქვე – საქართველოში ხდება. ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ზვიოს ხმა უკვე ყველგან ისმის (კინო, რადიო, ტელევიზია, სხვადასხვა შოუ-კონცერტები), რაც ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელი ხდება. ხომ არ შეიძლება, კოსმოსიდან მოფრენილ უცხოპლანეტელს და სახურავზე ბინადარ კარლსონს ერთი და იგივე ხმა, ინტონაცია და კილო ჰქონდეს?!.. ტრაგედია ის კი არ არის, ზვიო რომ არსებობს, არამედ მის გარდა სხვა თვითმყოფადი მსახიობი რომ არ ჩანს, რომელიც ფილმის პერსონაჟების ქართულად ამეტყველებას შეძლებდა.

თავად მულტიპლიკაციური ფილმი "კარლსონი", როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ზუსტად გადმოსცემს ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოების სიუჟეტურ პერიპეტიებს. ალბათ, ამ სურათის ნახვა უფროსი თაობის მაყურებელს ტკბილ მოგონებებს აღუძრავს იმ გარდასულ დროზე, როდესაც კარლსონის, პეპი გრძელიწინდას და სხვა ზღაპრული გმირების არსებობა სჯეროდათ. თუმცა ეს ფილმი არ არის დაზღვეული რამდენიმე ნაკლისაგან. კერძოდ, ბიჭუნასა და კარლსონის გარდა, არცერთი პერსონაჟის ხასიათი მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი. ლიტერატურული ნაწარმოების ისეთი კოლორიტული ფიგურაც კი, როგორიცაა შინამოსამსახურე ფრეკენ ბოკი (ბიჭუნა "შინამწვალებელს" რომ უწოდებდა), მესამეხარისხოვან გმირადაა ქცეული. მთლიანობაში კი, ეს სკანდინავიური სურათი მაყურებელს დადებით განწყობას შეუქმნის და ვინ იცის, რომელიმე მათგანი დაფიქრდეს კიდეც, იქნებ მართლაც არსებობს მფრინავი ადამიანი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს?!

არჩილ მელიქიშვილი

მინანქრის გალერეა ერეკლე მეორის ქუჩაზე

თამარ სუხიშვილი

ერეკლე მეორის ქუჩას სიონისკენ თუ ჩაუყვებით, არ შეიძლება თქვენი ყურადღება შემინულმა, ციცქნა ნაგებობამ არ მიიქციოს. ეს მინანქრის გალერეაა, როგორც მისი მასპინძლები ამბობენ, პირველი და ერთადერთი სპეციალიზირებული ტიხრული მინანქრის გალერეა, რომელიც ქართული ხელოვნების ამ უძველესი დარგის ტრადიციების აღდგენასა და განვითარებას ემსახურება.

გალერეას ყოველდღიურად უამრავი სტუმარი ჰყავს: აქაურებიც და უცხოელებიც. გემოვნებიანმა თბილისელებმა უკვე იციან, სად შეიძლება შეიძინონ ორიგინალური და თანაც ძვირფასი საჩუქარი, ბევრის მნახველმა და გათვითცნობიერებულმა უცხოელებმა კი კარგად იციან ნამდვილი ქართული ტიხრული მინანქრის ფასი: აქ წარმოდგენილი ნამუშევრები მაღალ დონეზე, ძველი ტექნოლოგიის მიხედვით არის დამზადებული, იმ ტექნოლოგიისა, რომელიც XV საუკუნიდან საქართველოში თანდათანობით დავიწყებას მიეცა. მინანქრის გალერეაში გამოფენილი ექსპონატები დღესდღეობით ქუჩაში თუ სალონებში გამოტანილი ბევრი ნაკეთობისგან იმითაც განსხვავდება, რომ მათ მხოლოდ ე.წ. ბიჟუტერიული დატვირთვა არა აქვთ და, პირველ ყოვლისა, ხელოვნების ნიმუშებად აღიქმებიან. გალერეაში ძირითადად ნაკეთობათა სამი კატეგორიაა წარმოდგენილი: ხატები, თავისუფალი კომპოზიციები და სამკაული. გალერეის მუდმივი ექსპოზიცია თეა გურგენიძის, ირაკლი მეგრელიშვილის, პაატა პაატაშვილის, ლაშა შენგელიას, სულხან ჭიკაიძის, ოთარ სალბიაშვილის, ნანა გიგოლაშვილისა და სხვათა ნამუშევრებისგან შედგება. გალერეის მოძრავი გამოფენები დროებით შეჩერებულია იმიტომ, რომ სარესტავრაციო სამუშაოების გამო ქუჩაა გადათხრილი.

აღსანიშნავია, რომ მინანქრის ხელოვნება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანია მივიწყებული იყო, დღეს საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. უხეშად რომ ვთქვათ, მინანქარზე მუშაობა დღესდღეობით მოდაშია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ნამდვილი მხატვარ-ოსტატები ამ პოპულარიზაციის პროცესს ცოტა სიფრთხილით ეკიდებიან, შიშობენ, ძველთაგან საამაყო და საანაქებო მინანქრის ხელოვნება არ გაუფასურდეს. მინანქრის გალერეის შექმნის იდეაც სწორედ დარგის განვითარების პროცესის სწორად წარმართვის სურვილმა გააჩინა: "არ გვინდა, რომ მინანქარს იგივე დაემართოს, რაც დაემართა ჭედურობას საქართველოში. დაახლოებით 10 წლის წინ ყველამ მჭედლობა მოინდომა, დღეს კი კარგი მჭედელი სანთლით საძებარია, ამ დარგმა ჩვენში დეგრადაცია განიცადა," – ასე ფიქრობენ მინანქრის გალერეის მასპინძლები თეა გურგენიძე და ხათუნა და მარინა ბაბუნაშვილები.

გალერეა 2000 წლის დეკემბერში დაარსდა. დაარსებიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ დამფუძნებლებმა უკვე სკოლა-სახელოსნოს გახსნა გადაწყვიტეს: "მინანქრის სკოლის გახსნის აუცილებლობა ორი მიზეზით იყო განპირობებული: ერთი, რომ ასეთი სკოლა არ არსებობდა, მეორეც, სკოლის გახსნით თავიდან ავიცილებდით ამ დარგის თვითდინების გზით განვითარებას."

სკოლაში პროფესიონალი მხატვრები ასწავლიან. კვირაში ერთხელ მოსწავლეებს თეორიული კურსიც ეკითხებათ: "ქართული და ბიზანტიური ტიხრული მინანქრის ისტორია". ამ კურსს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ლეილა ხუსკივაძე კითხულობს, პრაქტიკულ მეცადინეობებს კი ირაკლი მეგრელიშვილი, პაატა პაატაშვილი და თეა გურგენიძე ატარებენ. სწავლების ხანგრძლივობა ორი თვეა და ორასი დოლარი ღირს.

სკოლა-სახელოსნომ უკვე 50 მოწაფე გამოუშვა, და უნდა ითქვას, რომ ყველა ძალიან კმაყოფილია. ის კი არა, რამდენიმე მათგანმა თავისი პროფესიაც კი მიატოვა და მინანქარზე მუშაობა არჩია.

ამასწინათ გალერეამ ასეთი საქველმოქმედო ექსპერიმენტიც ჩაატარა – დაუკავშირდა ასოციაცია "მკურნალს", რომელიც სოციალურად დაუცველ ბავშვებს მეურვეობას უწევს, და 15 მოზარდს მინანქრის სკოლაში სწავლის საშუალება მისცა. დღეს ამ ბავშვებს უკვე სპეციალობა აქვთ, ისინი მინანქარზე აგრძელებენ მუშაობას და საკუთარ თავს თვითონვე ირჩენენ.

"ჩვენი სკოლა გარანტიას იძლევა, რომ მისი კურსდამთავრებულები ტექნოლოგიური სიზუსტისა და სისუფთავის დაცვით შეძლებენ ნიმუშების შექმნას, შეეძლებათ კარგი ასლების დამზადება, დანარჩენი უკვე მათ მხატვრულ ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული," – ამბობენ მასწავლებლები, რომელთა ნამუშევრებთან ერთად დღეს გალერეაში მათი მოწაფეების ნამუშევრებიც არის გამოფენილი. ამას გარდა, გალერეა 6 თვეში ერთხელ ოსტატებისა და შეგირდების ერთობლივ გამოფენებს აწყობს, სახელწოდებით "თაობა". ნამუშევრებს გამოფენისთვის რამდენიმე კრიტერიუმით არჩევენ – ექსპონატი არ უნდა იყოს არც სერიული და არც შტამპი, თანაც სამი კომპონენტის ერთობლიობას უნდა წარმოადგენდეს: მხატვრული დონე+ხელნაკეთობა+ტიხრული. "გალერეაში პროფესიულ ღირსებას ვიცავთ," – ამბობენ მხატვრები და მინანქრის უძველესი ხელოვნების ერთგულებით წვრთნიან თავიანთ მოწაფეებსაც, რომელთაგან ზოგიერთი უკვე ასაკოვანიცაა. შეგირდები მონდომებით ეუფლებიან ხელობას, რომელიც საკმაოდ შრომატევადია და რამდენიმე ეტაპს მოიცავს: მაღალ (900 გრადუსი) ტემპერატურაზე რამდენჯერმე გამოწვას, ასევე რამდენჯერმე შეფერადებას (ფერები გალერეას ცნობილი ფრანგული მინანქრის ფერების ქარხნიდან "ლიმოჟიდან" შემოაქვს), ზედაპირის დამუშავებასა და კიდევ სხვა პროცედურებს. ამ შრომის შედეგი კი შეგიძლიათ მინანქრის გალერეაში იხილოთ.

გალერეაში დიდხანს თუ შეყოვნდებით, ბევრ საინტერესო რამეს გაიგებთ მინანქრის უძველესი ტექნოლოგიის შესახებ, ხოლო თუ მასპინძელთა კეთილგანწყობას მოიპოვებთ, ისინი იმ ყელსაბამსაც გაჩვენებენ, ბრიტანეთის დედოფლის იუბილეს აღსანიშნავად ხუთმა მხატვარმა რომ დაამზადა და ბრიტანეთის ელჩის განცვიფრება რომ გამოიწვია...

2002 წლის დეკემბერში გალერეა ამერიკაში არსებული საერთაშორისო მინანქრის საზოგადოების Enamel Society-ს წევრი გახდა.

გალერეის დამფუძნებლებს თანამედროვე ქართული ტიხრული მინანქრის მუზეუმის დაარსებაც აქვთ გადაწყვეტილი, სადაც მინანქრის ქართველი ოსტატები თავიანთ კოლექციებს გამოფენენ.

ავტორი თეა გურგენიძე

ავტორი სულხან ჭიკაიძე

ავტორი ირაკლი მეგრელიშვილი

ავტორი პაატა პაატაშვილი

მოკლედ

ფეხბურთი. ხორვატი მილან რაპაიჩი, რომელიც დღემდე თურქეთის "ფენერბახჩეში" თამაშობდა, შეიძლება იტალიაში დაბრუნდეს. რაპაიჩი 1997-2000 წლებში "პერუჯას" ღირსებას იცავდა. რაპაიჩით დაინტერესებულია "კომო", რომელიც გადარჩენისთვის იბრძვის და ამ მიზნით გუნდის გაძლიერებას ცდილობს. თუ რაპაიჩი "კომოში" გადავა, ეს იქნება კლუბის მესამე შენაძენი მას შემდეგ, რაც აპენინებზე სატრანსფერო დერეფანი გაიხსნა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ განაცხადა, რომ მიმდინარე სატრანსფერო დერეფნის პერიოდში გუნდი განაცხადში შეიყვანს მცველს, ხოლო ზაფხულში ჰოლანდიის "აიაქსის" ფორვარდს ზლატან იბრაჰიმოვიჩს შეიძენს. მან უნდა შეცვალოს არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა, რომელიც სეზონის ბოლოს "რომას" დატოვებს. მცველის შეძენის კანდიდატებად კი რომაელები ნიკოლო ლაგროტალიასა და "ბრეშას" კოსტარიკელ ლეგიონერს გონსალო მარტინესს მიიჩნევენ.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დაწყების წინ ჩოგბურთელები უკანასკნელ მინიტურნირებს ამთავრებენ. მწვანე კონტინენტზე, ქალაქ ჰორბატში, დამთავრდა ერთი ასეთი ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 110 000 დოლარი იყო. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ავსტრალიელი ალისია მოლიკი და მეორე ნომრად განთესილი ამერიკელი ემი ფრეიზერი. სამსეტიან საინტერესო ბრძოლაში მოლიკმა გაიმარჯვა (6:2, 4:6, 6:4) და ტურნირის მთავარ ჯილდოს დაეუფლა.

■ ■ ■

კალათბურთი. თურქეთის ნაკრებისა და იტალიური "სიენას" ფორვარდი მირსად თურქანი ევროლიგის მე-10 კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ესპანეთის "ტაუგრესის" წინააღმდეგ მატჩში თურქანმა 18 ქულა, 21 მოხსნა, 3 გადაცემა, 3 ჩაჭრა და 3 დაფარება განახორციელა. მისი ეს მიღწევა ევროლიგის ამ კვირის საუკეთესო შედეგი გამოდგა. საუკეთესო მოთამაშე კი სწორედ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სახელდება.

კალენდარი

12 იანვარი

მიხეილ მესხი

1873 - დაიბადა სპირიდონ ლუისი. ბერძენი სპორტსმენი. მძლეოსნობის ისტორიაში მარათონულ დისტანციაზე პირველი გარბენის გამარჯვებული. პირველი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

1894 - დაიბადა ჟორჟ კარპანტიე. ფრანგი პროფესიონალი მოკრივე. მსოფლიო ჩემპიონი ქვემძიმე წონაში. დიდების დარმაზის წევრი.

1937 - დაიბადა მიხეილ მესხი. საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გარემარბი. თამაშობდა თბილისი "დინამოში". საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 36 მატჩი, გაიტანა 4 გოლი. ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის დასახელებულ იქნა 6-ჯერ. 1964 წლის საბჭოთა კავშირისა და 1960 წლის ევროპის ჩემპიონი.

1949 - დაიბადა ოტმარ ჰიტცფელდი. შვეიცარიელი წარმოშობის მწვრთნელი წარმატებით მუშაობს გერმანიაში. ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული - 1997 წელს დორტმუნდის "ბორუსიას" მწვრთნელად, 2001 წელს მიუნხენის "ბაიერნის" მწვრთნელად.

1968 - დაიბადა მაურო სილვა. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი.

1969 - დაიბადა რობერტ პროსინეჩკი. ხორვატი ფეხბურთელი. 1991 წელს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 37 წლის წინათ...



1966 წლის ივნისი.
ვორლდკუბალიის ნაკრების ფეხბურთელები ტორესი და ეუსებიო

ფეხბურთი

„დინამო" ორი თვით გვემშვიდობება

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამოს" დაუბრუნდა მთავარი მწვრთნელი და ორ დღეში გუნდი კვიპროსისკენ აიღებს გეზს. ივო შუშაკმა ტრადიცია არ დაარღვია და გუშინ "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე წლის პირველი პრესკონფერენცია გამართა.

ივო შუშაკი ტურნეს იწყებს

მთავარი მწვრთნელი ორი დღის წინ დაბრუნდა სამშობლოდან, სადაც საშობაო არდადეგები გაატარა. შუშაკი, როგორც თავად განაცხადა, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან - შობის დღესასწაულს ზაგრებში, ოჯახთან ერთად შეხვდა. იგი თითქმის ერთ თვეს დარჩა ხორვატიაში და ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი მასმედიის სერიოზულ პრესში მოყოლილა. შუშაკმა ისიც აღნიშნა, რომ დიდხანს უსაქმოდ ყოფნა არ უყვარს და თავისი გუნდიც ძალიან მონატრებია. მას მუდმივი სატელეფონო კავშირი ჰქონდა "დინამოს" ოფისთან და კმაყოფილი დარჩენილა, როდესაც შეუტყვია, რომ თავისუფალ ვარჯიშებზე გუნდი თითქმის მთელი შემადგენლობით იკრიბებოდა. მწვრთნელს ფეხბურთელები არცთუ ურიგო სპორტულ ფორმაში დახვდნენ. "დინამოს" არც ტრავმები აწუხებს. "მიხარია, რომ ერთადერთი დაშავებული ფეხბურთელი, ლადო ახალაია, საბოლოოდ გამოჯანმრთელდა", - განაცხადა მან.

ახალი ფეხბურთელების მიწვევის თვალსაზრისით, "დინამოში" მნიშვნელოვანი სიახლე არ არის. კლუბის ხელმძღვანელობა ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ქუთაისის "ტორპედოსთან" ამ გუნდიდან მალხაზ ასათიანის გადმოყვანის თაობაზე. შუშაკმა იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკება 14 იანვრამდე დასრულდება და ასათიანი გუნდთან ერთად გაემგზავრება კვიპროსზე.

გუნდიდან წასვლის სურვილი გამოთქვა ჩივაძემ, რისი საწინააღმდეგოც "დინამოს" არაფერი აქვს. იგი, სავარაუდოდ, "ლოკომოტივში" გადავა. რუსთავის "გორდას" ფეხბურთელმა, 20 წლის ზვიად ლაბაძემ, გუშინ "დინამოსთან" ერთად ივარჯიშა და, შესაძლოა, "დინამოში" მისი გადასვლის თაობაზე კლუბებმა მოლაპარაკება დაიწყონ. ყველა ფორმალური მხარე მოგვარდა და "დინამოს" წევრი გახდა სანდრო იაშვილი.

თბილისის "დინამო" დღეს და ხვალ ორჯერად ვარჯიშებს გამართავს, ხოლო ზეგ ფეხბურთელებს თავისუფალი დღე ექნებათ და ოჯახებში შეხვდებიან ძველით ახალ წელს. 14 იანვარს, დილით, გუნდი ჩარტერული რეისით კვიპროსზე გაემგზავრება. შუშაკი თბილისიდან წაიყვანს 25 ფეხბურთელს, რომელთა შორის სამი მეკარეა: გვარამაძე, ზოიძე და წნორის "მილანიდან" გამოწვეული ზურაბ მამალაძე. კვიპროსზე გუნდს შეუერთდება "დინამოს" ერთადერთი ლეგიონერი, ბრაზილიელი კარლოს და როჩა.

შუშაკი ყურადღებას გაამახვილებს ფეხბურთელთა ფიზიკურ და ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაზე. ამ პერიოდში კვიპროსზე პოსტსაბჭოური სივრცისა და ჩრდილოეთ ევროპის მრავალი გუნდი ემზადება და საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი 4-5 ტესტ-თამაშს გამართავს. შუშაკის თქმით, იგი ეცდება, ისე შეარჩიოს სპარინგ-პარტნიორები, რომ "დინამოს" ყველანაირი სტილის გუნდთან მოუწიოს ჭიდილი. ერთ-ერთი ასეთი სპარინგ-მეტოქე შეიძლება აღმოჩნდეს ვლადიკავკაზის "სპარტაკ-ალანია", რომელიც უკვე კვიპროსზეა. მოგეხსენებათ, ამ გუნდს სათავეში უდგას რევაზ ძოძუაშვილი, რომელმაც სინჯებზე რამდენიმე ქართველი ფეხბურთელიც იახლა.

კვიპროსიდან "დინამო" 28 იანვარს დაბრუნდება თბილისში. 1 თებერვალს კი მეორე შეკრებაზე წასასვლელად ჩაალაგებს ჩემოდნებს - ჯერ გაემგზავრება ბოსნია-ჰერცეგოვინის ქალაქ შიროკი ბრეგში და ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. მასპინძელთა გუნდისა და "დინამოს" გარდა, ამ ტურნირში გამოვლენ ზაგრების "დინამო" და "ციბალია". ზაგრების "დინამო" იუგოსლავიის, ხოლო ამ ქვეყნის დაშლის შემდეგ, ხორვატიის არაერთგზის ჩემპიონია და წლეულსაც ხორვატიის ჩემპიონატის ლიდერია. ამ გუნდში ქვეყნის ეროვნული ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი თამაშობს. რაც შეეხება "ციბალიას", ახლა იგი ხორვატიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა.

შიროკი ბრეგიდან თბილისის "დინამო" ხორვატიაში, ევროპაში კარგად ცნობილ მაკარსკას საწვრთნელ ბაზაზე გადაინაცვლებს. ერთ დროს ამ ბაზაზე შეკრებებს მართავდა საბჭოთა კავშირის ნაკრებიც. უკვე გადაწყვეტილია, რომ 12 თებერვალს "დინამო" სპარინგ-მატჩს გამართავს ხორვატიის მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდთან, ხოლო 16 თებერვალს ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონს, სპლიტის "ჰაიდუკს" შეხვდება. შუშაკის თქმით, ამ პერიოდში ხორვატიაში გერმანიის მეორე ბუნდესლიგის რამდენიმე გუნდი ემზადება და "დინამო" რომელიმე მათგანთანაც გამართავს ტესტ-მატჩს.

უცხოურ შეკრებებს თბილისის "დინამო" 20 თებერვალს დაასრულებს. შუშაკის აზრით, ეს საწვრთნელი შეკრებები საგრძნობლად გააუმჯობესებს თამაშის ხარისხს და "დინამოს" დაეხმარება იმ მიზნების მიღწევაში, რომელიც სეზონის დასაწყისში დაისახა. კერძოდ, "დინამო" წლეულს გეგმავს "დუბლის" შესრულებას - გამარჯვებას ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში.

კალათბურთი

დირკ ნოვიცკი - 2002 წლის ევროპის საუკეთესო კალათბურთელი

იტალიური "La Gazzetta dello Sport"-ის ტრადიციული გამოკითხვის მიხედვით, ევროპის 2002 წლის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებულია გერმანიის ნაკრებისა და "დალას მავერიქსის" ფორვარდი დირკ ნოვიცკი. გამოკითხვით, რომელშიც წამყვანი ევროპელი სპეციალისტები და მწვრთნელები მონაწილეობდნენ, ნოვიცკიმ 104 ქულა დააგროვა და გაუსწრო იუგოსლავიელებს - დეიან ბოდიროგასა და პრედრაგ სტოიაკოვიჩს (შესაბამისად, 54 და 50 ქულა).

REUTERS

დირკ ნოვიცკი

გამოკითხვა, რომელშიც 21 კალათბურთელის გვარი ფიგურირებდა, "La Gazzetta dello Sport"-მა 24-ედ ჩაატარა. რეკორდსმენია სახელგანთქმული არვიდას საბონისი - იგი ექვსჯერ ფლობდა ამ ჯილდოს. გამოკითხვის ორგანიზატორებს საბონისი არც ამჯერად დარჩენიათ უყურადღებოდ. ლიტველმა 7 ქულით მერვე ადგილი დაიკავა. თუმცა, საბონისს, ტრავმის გამო, 2001-2002 წლების სეზონი გაუცდა.

ქალთა შორის ასეთივე გამოკითხვაში პირველობა ერგო საფრანგეთის "ორშისა" და ქალთა NBA-ის კლუბ "კლივლენდ როკერსის" თავდამსხმელს ენ ვოუტერსს (49 ქულა). მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს რუსებმა - ილონა კორსტინმა და ელენა ბარანოვამ (17-17 ქულა). სულ გამოკითხვაში 14 კალათბურთელი ქალის გვარი ფიგურირებდა.

რალი

იაპონური ავტოინდუსტრიის ცუნამი აფრიკაში

გიგა გურასაშვილი

ფაქტია: წინა დღის მწარე გამოცდილებამ გარკვეული როლი შეასრულა "ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის ეკიპაჟებზე. მერვისგან განსხვავებით, მეცხრე ეტაპი სრულიად უხიფათოდ დასრულდა. შეჯიბრების მონაწილეებს გუნება-განწყობაც ეხმარებოდა. მათი უფროსი კოლეგის, Nissan-ის იაპონელი პილოტის, 54 წლის კენჯირო შინოზუკას მდგომარეობა უკეთესობისკენ მიდის.

ვიდრე ეკიპაჟები საბადან ზილამდე გაშლილი მეცხრე ეტაპის 567-ე კილომეტრიან მონაკვეთს შეესეოდნენ, "ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის მონაწილეებმა ტუნისიდან სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს: "პარიზი-დაკარის" ყოფილი ჩემპიონი კენჯირო შინოზუკა, რომელიც მერვე ეტაპზე მძიმე ავარიაში მოყვა და ტვინის შერყევითა და დაჟეჟილობებით, უგონო მდგომარეობაში, საავადმყოფოში გადააფრინეს და ოპერაცია გაუკეთეს, ამჯერად უკეთესადაა და მალე შემდგომი გამოკვლევებისთვის პარიზში გადაიყვანენ.

"მდგომარეობა იმედისმომცემია. მას საფრთხე აღარ ელის. საბედნიეროდ, შოკიდან გამოვიდა. საავადმყოფოდან 48 საათში გაეწერება და, რაც მთავარია, დამოუკიდებლად", - ასე აფასებს "როიტერთან" საუბარში პაციენტის მდგომარეობას "Berges du La" კლინიკის უფროსი ექიმი ბოუბაქერ ზახამა. მისივე თქმით, დამაკმაყოფილებელია შინოზუკას შტურმანის, ავარიის შედეგად ფეხებმოტეხილი ფრანგი ტიერი დელი-ზოტის მდგომარეობაც.

რაც შეეხება თავად მეცხრე ეტაპს, წინა ორი დღის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეებს ტექნიკური პერსონალის დახმარების საშუალებაც მიეცათ, თუმცა, ბევრს ვერც ამან უშველა.

ორი ეტაპით ადრე მიღებული მხრის ტრავმის გამო სტარტზე ვერ გამოვიდა სამხრეთაფრიკელი მოტოციკლისტი ალფი კოხი. მათ კი, ვისაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ ჰქონდათ, ერთმანეთში უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს. მრავლის მნახველი ექსპერტების თქმით, მათ აქამდე არასდროს ეხილათ მოტოციკლისტთა ასეთი მჭიდრო ასპარეზობა.

რიჩარდ საინტმა საერთო ჩათვლაში ადრე დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა. მიუხედავად იმისა, რომ ორ საწყის ნიშნულთან საინტი მისივე თანამემამულემ, კირილ დესპრესმა შეავიწროვა და, ამასთან, საუკეთესო დროც აჩვენა, საინტმა პაექრობაში გარდატეხა მაინც შეიტანა. მეტიც: დესპრესს მეცხრე ეტაპამდე საერთო ჩათვლაში ლიდერის პოზიციაზე მყოფმა იტალიელმა ფაბრიციო მეონიმაც გადაასწრო. მოგვიანებით მოვლენები ისე განვითარდა, რომ ნათელი იყო: იმ დღეს საინტს ვერავინ შეაჩერებდა. იგი პირველი მიიჭრა ფინიშის ხაზთან და იტალიელს, 44-წამიან უპირატესობასთან ერთად, საერთო ჩათვლის ლიდერობაც ჩამოართვა.

ავტომობილების კლასის საერთო ჩათვლაში კი ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. ფაქტობრივად, თავიდან იგივე სცენარით დაწყებულ ასპარეზობაში, როდესაც ორი Mitsubishi ქარავანს ედგა ხოლმე სათავეში, თანაც, ფრანგი სტეფან პეტერჰანსელის ლიდერობით, საბოლოოდ Nissan-ის ფინელმა მესაჭემ არი ვატანენმა გაიმარჯვა. ამის მიუხედავად, იმავე ჩათვლაში კვლავაც ლიდერობს პეტერჰანსელი, რომელმაც ფინელთან პაექრობაში მესამემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მეცხრე ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულა ჟან-პიერ ფონტენეისა (პილოტი) და ჟილეს პიკარდის (შტურმანი) ასევე Mitsubishi-ის ფრანგულმა ეკიპაჟმა. ეს უკანასკნელნი საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზე არიან. 275-ე კილომეტრზე გაგლეჯილი საბურავი რომ არა, იმავე ჩათვლაში მეორე პოზიციაზე მყოფ ასევე Mitsubishi-ის იაპონურ-გერმანულ ეკიპაჟს - ჰიროში მასუოკასა და ანდრეას შულცს, შეიძლებოდა, უკეთესი შედეგიც ჰქონოდა.

სატვირთო მანქანების კატეგორიაში წინა დღით დაწინაურებულ Камаз-ის რუსულ ეკიპაჟს თავისი ადგილი მიუჩინა ჰოლანდიურმა DAF-მა. დე როოების ოჯახის უმცროსმა წარმომადგენელმა, ჟერარდუსმა, სტარტიდან ფინიშამდე გასწრების საშუალება არავის მისცა და ასე, პირველმა, დაასრულა ასპარეზობა.

რალის მონაწილენი უდაბნოში

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კვირეული
გამოდის ყოველ კვირა პირველ განცხადებები

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასაბამლი, მომსახურება, სამუშაო, მასწავლებლობა

ფასიან განცხადებები, კვირეული მოიცავს საფასიანო განცხადებებს ასაკზეფასებას 45 სიტყვიანი განცხადებები რაოდენობა ან ბეჭდვითი ფასიანი განცხადებები ეო. განცხადებებს

საფასიანო ფასიანი განცხადებები: ნომერზე ეო. ეო. ეო. ეო. ეო.

12.01.03 N-10

ბინები

იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ერთოთახიანი მეტრო „ავლაბართან" იტალიურ ეზოში ცალკე სათავსოებით. 77 37 91 არჩილი

იყიდება საკუთარი 3-ოთახიანი სახლი ნაკვეთით 350 კვ.მ. ავლაბარში, ახალ ეკლესიასთან. ფასი 15 000 $. 74 09 12

იყიდება 3-ოთახიანი ბინა, 30 კვ.მ. მიშენებით კონიაკზე. მე-2 სართული. ფასი 7 500$. 31 41 35

იყიდება 2-ოთახიანი მაღალქერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

მიწის ნაკეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

ბინები

ქირა, ბირაო

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

საოფისე ფართი

იყიდება ან ქირავდება საოფისე ფართი ქალაქის ცენტრში. 25 15 58

სწავლება

მოვამზადებ აბიტურიენტებსა და

შეგასწავლით!

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში. აგრეთვე დავეხმარები მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში. 32 59 62

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

სხვადასხვა

მოუფული ბავშვს. გამაჩნია სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება ქართულ და რუსულ ენებზე. 32 59 62

თუ გსურთ გარერეკლამა თქვენს ბიზნესში, საშობაო ფასდაკლებით. 78 47 76 მანანა

იყიდება შუაზიური ორი დიდი ნოხი, შესანიშნავად შენახული. 38 49 54 ნანა, მერი

დაგეხმარებით ყველა კატეგორიის მართვის მოწმობის აღებაში სწრაფად და იაფად. 34 47 51

გთავაზობთ ინგლისის, რუსეთის, ჩეხეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ავტომტურების საავიზო მხარდაჭერას. 34 47 51, 94 36 66 (15-დან 16-მდე)

მაქვს დიდი პრაქტიკა. გავზრდი ხელოვნურ საკვებზე ახალშობილს. ანაზღაურება 100$. 8(77) 47 24 26 დალი, 37 98 09 ლელა

იყიდება 1-ტონიანი უფანგავი ავზები 250-ად. 8(93) 21 09 00

კომპანიას ესაჭიროება ბოსტნეული კულტურების მცოდნე აგრონომი, ახალგაზრდა მამაკაცი. 70 02 37

იყიდება „კენვუდის" ფირმის რაციები. 8(93) 31 33 40

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

ვარ 24 წლის. პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებს. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

საშუამავლო ფირმა „კახი-98" გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-დაგირავება-გაქირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

საშუამავლო ფირმა „კახი-98" ისესხებს და გასესხებს თანხებს ბინების მყარი გარანტიით. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში ვოგონების 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

იყიდება დოგის, აღმოსავლეთ ევროპული და გერმანული ნაგაზის ლეკვები აცრით და საბუთებით.
- ვწვრთნი ძაღლებს (სტაჟიანი კინოლოგი) და დავიტოვებ ძაღლებს შენახვით.

897 575116 ხვიჩა.

- შეგაწუხათ მარტოობამ, სევდამ, სტრესმა ზამთრის ღამეებში? გინდა იპოვო გამოსავალი

დაგვირეკეთ ტ: 822-009-555

24-საათიანი სატელეფონო ფსიქოლოგიური კონსულტაციები.

1 წთ - 50 თეთრი

ანონიმურობა დაცულია

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.

ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.

ტელ: 95-39-97

მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

აფიშა

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ჭუზეპე ვერდი "ტრავიატა", დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი
დას: 12:00 სთ

თავისუფალი თეატრი
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 13:00 სთ; ფასი 5 ლარი (საჩუქრით)
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 5 ლარი

თეატრალური სარდაფი
"მონო-მანია", რეჟ. ლილი ბურბუთაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

საგამოფენო დარბაზები

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
საშობაო გამოფენა

„ძარვასლა„
თინა კობიაშვილის შემოქმედებითი სახელოსნოს წევრთა ნამუშევრების გამოფენა "თექის ტანსაცმელი და აქსესუარები"

ეროვნული გალერეა
ნანა გიორგაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

კინოთეატრები

„ამირანი„
"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 11:00; 14:00; 17:30; 20:00 სთ; ფასი 5,7,8 ლარი

„რუსთაველი„
ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
ანიმაციური ფილმი "ლილო და სტიჩი"
დას: 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
"გზაჯვარედინი", მთავარ როლში კევინ კოსტნერი
19:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამარკას უკანასკნელი საქმე", მთავარ როლში რობერტ დე ნირო
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

„ელისო„
ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"
დას: 13:00; 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
ანიმაციური ფილმი "ლილო და სტიჩი"
დას: 15:00; 17:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამარკას უკანასკნელი საქმე"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"გზაჯვარედინი", მთავარ როლში კევინ კოსტნერი
21:00 სთ; ფასი 5 ლარი

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

TV პროგრამა 11 იანვარი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური გუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „ალმოდგმა"
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 სერიალი „ალმოდგმა"
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
19.15 ველური გუნება
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი"
21.25 ჩვენი ეზო
21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „რევანში" 8 77 45-79-25 ანი ჟირარდო, „თეირანი 43" 8 77 45-79-26, „ცხოვრება, ან რაღაც მაგდაგვარი" 8 77 45-79-27 ანჯელინა ჯოლი, ტომ შელხუბი
23.50 მხ.ფ. „განდიდების მანია" მთ. როლებში ლუი დე ფიუნესი, ივ მონტანი
02.00 კლასიკა

პირველი არხი

07.50 მოამგე
08.05 მულტსერიალი „თოვლის პაპა"
08.30 მხ. ფილმი „ჭია-მაია"
10.00 დილის პაემანი
11.05 „დიდი დასვენება"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა" 12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 ღამის ჯაზი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
16.50 საკვირაო გამოფენა
17.05 მულტსერიალი „პრინცესა ნერი"
17.35 ექიმ ქალი
17.50 მუს. პაუზა
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „ჩემპიონი"
18.55 „ეკოდაიჯესტი"
19.25 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 „ამბოგენ"
21.25 „ივერიის ვარსკვლავი"
23.55 ტაიმ-აუტი
00.25 მხ. ფილმი „ბრიყვების ოჯახი".

პირველი სტერეო

09.15 გან. მუსათეული
10.00 ტოროლა
11.00 გან. ინფაქტი
13.00 გან. პოლიტაააარაცი
13.15 პაუზის გარეშე
16.00 ფილმი კომედია „უნეგლიე მილიონერი"
18.00 ნონსტოპი
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ინგლისური მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი მელოდია
22.45 კვირის საუკეთესო ვიდეოხულიგნები
23.00 ინფორმატორი
23.30 არასარეკლამო ათეული
00.00 ფილმი ბრავო „თავდაყირა"
01.45 ფილმი ღამურა „ეშმაკის თანაშემწე"
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები
21.00 ვიცი
21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „მუმია, ეგვიპტის უფლისწული"

იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 მხ. ფილმი „დოქტორ ჯეკილი და მის ჰაიდი"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. „იმპერატორი"
13.00 გადაცემა - მურადა (გამეორებით)
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ.ფ. „ღალატი"
22.15 მხ.ფ. „რა აუცილებელია იყო სერიოზული"
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია 6"
13.30 მხ. ფილმი „დარტყმის სიმორეზე"
15.10 მხ. ფილმი „სეიფების მძარცველი"
17.00 მულტფილმი „მულანი"
18.00 ჯაზ-პარნასი
19.00 ინდ. მხ. ფილმი „სიყვარულის მარწუხები"
22.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია 7"
23.30 მხ. ფილმი „მგლის საძმო"

მეცხრე არხი

09.00, 09.50, 10.45, 12.45, 13.45, 15.50, 19.10, 00.00, 01.50 მუსიკა
09.20 მულტფილმი „ირემი რუდოლფი"
10.00 მხ. სერიალი „ზურგის ძარი"
11.00 მხ. ფილმი „ქარიერა"
13.00 მულტფილმი „ქრისტესშობის ანგელოზი"
14.00 მხ. ფილმი „სანაპერელი ძვრივი"
16.00 მხ. ფილმი „კაპიტან გრანტის შვილები"
17.30 დოკ. ფილმი „ეს ცეკვაა"
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი „შერეკილები"
21.20 დოკ. ფილმი „ცხოველთა სამყაროს კურიოზები"
22.30 მხ. ფილმი „ლანცელოტი დროის მცველი"
00.20 მხ.ფილმი „შეუპოვარი მაძიებელნი"

VII არხი

17.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
17.45 მხ.ფ. - „ბზა შინისაკენ" -მე-2 სერია.
19.10 „აჩიკუდა"
19.30 „ავტოტრეკინგი"
20.20 კომპიუტერული ტექნიკა
21.00 „კინოკლუბი „ - „შიშველი პისტოლეტი"
22.20 მოგილურები
23.00 „კინოკლუბი „ - „შიშველი პისტოლეტი" - მე-2 სერია
00.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა

1 ОРТ

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
08.55 Сериал „Твинисы"
09.20 Армейский магазин
09.45 Дисней-клуб: „Тимон и Пумба"
10.15 Дог-шоу
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 „Властелин вкуса"
12.50 Комедия „Инспектор-разиня"
14.30 Дисней-клуб: „Утиные истории"
15.15 „Клуб путешественников"
15.55 Большие родители
16.20 Телеканал „Новый день". Новые чудеса света. „На пути всемирного потопа"
16.50 „Спецназ. „Витязь в черной маске"
17.35 „Мамин „Ералаш"
18.00 Живая природа. „Братья по крови"
19.20 „Кривое зеркало"
21.50 Худ.фильм „Парк Юрского периода"
00.10 Бокс. Марко Антонио Баррера - Принц Насем Хамед
01.15 Комедия „Рапсодия Майами"

РТР

07.25 Худ.фильм „Сказка о царе Салтане"
08.50 Сериал „Дракоша и компания"
09.15 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе
11.15 Док.фильм „Цепная реакция"
12.00 Утренняя почта
12.30 „Городок". Дайджест
13.00 Худ.фильм „Повторный брак"
14.40 С. Альтов „Обовсем!"
15.00, 21.00 Вести
15.20 Вокруг света
16.10 Диалоги о животных
17.00 „Создать „Группу" А". „Красная" камера"
17.45 Комната смеха
18.30 Худ.фильм „Первый рыцарь"
20.50 В „Городке"
21.25 Худ.фильм „Бойцовский клуб"
00.05 Худ.фильм „С широко закрытыми глазами"

НТВ

07.55 Комедия „Антоша Рыбкин"
08.45 Комедия „Жандарм и жандарметки"
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.05 Комедия „Жандарм и жандарметки". (Продолжение)
10.25 Телешоу „Шар удачи"
10.55 Погода на неделю
11.05 Сериал „Бушующая планета"
12.05 „Растительная жизнь"
12.35 Вы будете смеяться!
13.05 „Профессия - репортер". „Домбайский экстрим"
13.25 „За гранью возможного". „Быстрее ветра"
14.05 Комедия „Ребенок напрокат"
15.45 Вкусные истории
16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.20 НТВ представляет: „Истории охотника за крокодилами"
17.40 Ток-шоу „Принцип домино"
18.05 Ток-шоу „Принцип домино". (Продолжение)
19.05 Игра „Один за всех"
20.30 Худ.фильм „Танго и Кэш"
22.25 Комедия „Исповедь Человека-невидимки"

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი

ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ 15^{00} საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე 9^{30} -დან 15^{00} -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

CENTRE

ჯეოდესიული განვითარების სავაჭრო და გართობის საბავშვო
"იგორ-ცენტრი"

გრაცი - ევროპის დედაქალაქი

“2003 წლის ევროპის კულტურულ დედაქალაქად” ევროპის კავშირმა ავსტრიის ქალაქი, გრაცი გამოაცხადა. 12 იანვრამდე მისი მცხოვრებლები და საგანგებოდ ამ დღესასწაულებზე ჩასული სტუმრები პროგრამის ოფიციალურ გახსნას ზეიმობენ. ამ დღეებში ხელოვნების მოყვარულებს მრავალი პრემიერა, ვერნისაჟი და კონცერტი, გურმანებს კი გემრიელი კერძები ელით. აქ იქნება ბრჭყვიალა ფეიერვერკები, ხმაურიანი ბაზრობები, ქუჩის მსახიობების წარმოდგენები – რაც კი რამ გაგიხარდებათ!

მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ სტუმრებს, მოძრაობის თემისადმი მიძღვნილი ხელოვანთა პროექტებით, გრაცი ფრიად ორიგინალურად შეხვდა.

მატარებლის ჩამოდგომისთანავე სტუმარი ფანტასტიკურ სამყაროში ხვდება: ცნობილმა ავსტრიელმა ხელოვანმა, პეტერ კოგლერმა, სადგურის შენობის დარბაზები უჩვეულოდ მორთო - 2 355 კვადრატულ მეტრიან სივრცეს ხელოვნური ნაჭერი ჩააცვა. ახლა სადგურის ჭერსა და კედლებზე, წითელ ფონზე, ნაცრისფერი, შავი და თეთრი ბიომორფული ნახატები ლივლივებს.

ევროპის დედაქალაქის ცენტრი

თვითმფრინავით ჩაბრძანებულებსაც არანაკლები სიამოვნება ელით: აეროპორტის შენობაში მინის ზედაპირები (რომლებიც იქ უხვად მოიპოვება) გრაცელმა ფლორა ნოივირთმა სტერეომეტრული ფორმებით დაფარა. Loopy Doopy - ნარინჯისფერი + მწვანე, ამერიკელი კონცეპტუალისტი მხატვრების მიერ 1998 წელს შექმნილი ნამუშევრის ახლებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ქ-ნ ნოივირთის თქმით, “ხაზების სისტემა ჰაერის მოძრაობის ასოციაციას ბადებს”. ასოციაცია, ცხადია, წმინდა სუბიექტური რამაა, თუმცა აეროპორტი, ნებისმიერ შემთხვევაში, საუცხოოდ გამოიყურება.

ახალგაზრდა გრაცელმა არქიტექტორებმა კი ქალაქის ოთხი შესასვლელის მორთვა იკისრეს და ყოველ შესასვლელს საკუთარი სახელიც დაარქვეს.

თუკი გრაცში სამანქანო გზით ჩრდილოეთიდან, morphoscope-თი შეხვალთ, ათ უზარმაზარ აბრასთან მოგიწევთ ჩავლა, რომლებიც გრაცთან მჭიდროდ დაკავშირებული და პოპულარული ადამიანების პორტრეტს ქმნის. არქიტექტორთა არჩევანი ორ პიროვნებაზე შეჩერდა: ერთი დირიჟორი ნიკოლაუს ჰარნონკურტია, მეორე კი - ფეხბურთელთა მწვრთნელი ივიცა ოსიმი.

აღმოსავლეთ შესასვლელს Love ჰქვია. მას სამი ნეონის ინსტალაცია ამშვენებს: წარწერები Love და The Kulturhauptstadt, და ციყვის გამოსახულება – გრაცის პარკის სიმბოლო.

დასავლეთის კარიბჭე არის Hands-Out, ხელებით დაფარული კედელი, რომელიც ყოველ სტუმარს ესალმება – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ყველას გულითადად უწევს ხელს. სამხრეთი შესასვლელის, The Thing and the Wing-ის აღწერა კი თითქმის შეუძლებელია, ლითონის მრავალშრიან ინსტალაციას, მისი ავტორების კონცეფციის თანახმად, დროსა და სივრცეში მოგზაურობას თუ ვუწოდებთ.

კულტურული დედაქალის წოდება და შესასვლელების მშვენება გვერდზე რომ გადავდოთ – ყველა როდია კონცეპტუალური ხელოვნების თაყვანისმცემელი, - გრაცში ჩასვლა ყოველთვის დიდი სიამოვნებაა. ოდესღაც პაწაწინა დასახლებას, რომელსაც ქალაქი 1230 წელს ეწოდა, ისიც იმის გამო, რომ გალავანი შემოარტყეს, მრავალი დიდებული და ტრაგიკული მოვლენა ახსოვს: კაიზერის რეზიდენციად გამოცხადება, უნივერსიტეტის გახსნა, ნაციონალური თეატრის დაარსებაც და შავი ჭირის ეპიდემიებიც, რომლებმაც უამრავი ადამიანი შეიწირა – მოკლედ, ყველაფერი, რაც შეიძლება ევროპის ცენტრში მდებარე ქალაქის თავს დატრიალებულიყო.

დღეს კი გრაცმა მშვენიერ საზოგადოებაში ამოყო თავი: ეგვიპტის პირამიდებთან, ჩინეთის დიდ კედელთან და ათენის აკროპოლისთან ერთად 1999 წლის 1 დეკემბრიდან ძველი გრაციც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. ასეთი პატივი მსოფლიოს 114 ქვეყანაში სულ 582 ძეგლს ხვდა წილად.

UNESCO-ს განაწესის თანახმად, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შესული ნაგებობები საგანგებოდ უნდა იყოს შენახული და დაცული. გრაცის მცხოვრებლებისათვის ეს განსაკუთრებული ამოცანა არასოდეს ყოფილა: ძველ ქალაქზე ზრუნვა, განსაკუთრებით მე-20 საუკუნიდან მოყოლებული, გრაცელებს სისხლში აქვთ გამჯდარი. ალბათ სწორედ ამით აიხსნება გრაცის არქიტექტურული მთლიანობა და ის ფაქტი, რომ ისტორიული ცენტრი ჩინებულადაა შემონახული, მიუხედავად იმისა, რომ 1945 წელს, დაბომბვის შემდეგ, შენობების თითქმის 15 პროცენტი განადგურდა.

ქალაქის დღევანდელი სახით ჩამოყალიბების პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა: გოთიკური არქიტექტურის შედევრები, ბაროკო და იუგენდსტილი მშვიდად “თანაარსებობენ” თანამედროვე ხუროთმოძღვრებასთან, და ამის შედეგად მივიღეთ სწორედ “ქალაქი-სიზმარი”, როგორც მას პატრიოტი გრაცელები უწოდებენ ხოლმე.

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"
პირველად საქართველოსა და ამერიკა-კავკასიაში მალალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"
MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმობრაზიას "Aesthipeel"
- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.
ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

სკანდინავიური კროსვორდი



საგაზეთო ქაღალდი
ფასდაკლებით
შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან
საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580$-ამდე
ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება
[illegible]
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პროგლემები მოგეხსნებათ.
[illegible]
იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
[illegible] (3) [illegible]